

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
სამაგისტრო პროგრამა: კულტურული მემკვიდრეობა და
თანამედროვეობა

გუნია მარიამი

„სიბრძნის კიდობანი“ და ღვთისმშობლის სიმბოლოები შუა
საუკუნეების ქართულ ხელოვნებაში

ნაშრომი შესრულებულია ხელოვნებათმცოდნეობის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ნაშრომის ხელმძღვანელი: იზოლდა ჭიჭინაძე
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

თბილისი

2019

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

The Faculty of Humanities

Master's Degree Program: **Cultural Heritage and Modernity**

Gunia Mariami

**“The Ark of the Covenant” and symbols of Virgin Mary in the Middle
Ages Georgian art**

Thesis has been written in order to seek an academic degree of Master of Arts

Thesis Supervisor: **Izolda Chichinadze**

Doctor of Arts, Ivane Javakhishvili Tbilisi

State University professor

Tbilisi

2019

ანოტაცია

ძველი აღთქმის ყველა მოვლენა წარმოგვიდგება, როგორც წინასახე ახალაღთქმისეული სახეებისა და მოვლენებისა. მათი უმთავრესი საგანია იდეა ქვეყნიერების მსხნელის შესახებ, რომელიც ქალწულისაგან იშვება. ეს წინასწარმეტყველება ძველი აღთქმის მრავალ ეპიზოდში ვლინდება.

რჯულის კარავი, რომლის მთავარ სიწმინდეს წარმოადგენს „სიბრძნის კიდობანი“, ებრაელთა ერისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი სალოცავი იყო. ამ სიწმინდის ძველბერძნული აღმნიშვნელი სიტყვა იყო „სკენე“, რომლიდანაც მომდინარეობს მისი მეორე აღმნიშვნელი ტერმინი „სკინია“. ძველებრაული შესატყვისი ამ რელიქვიისა არის „მიშვან“ (), რაც სამკვიდრებელს, ადგილსამყოფელს ნიშნავს. რჯულის კარავი, ბიბლიის მიხედვით, წარმოადგენდა ებრაელთა მოძრავ ტაძარს.

ნაშრომის ფარგლებში ჩვენი ყურადღების საგანია კარვის ყველაზე მთავარი რელიქვია „სიბრძნის კიდობანი“. სწორედ აქ იყო დაბრძანებული შემდეგი ეროვნული სიწმინდეები: 1) რჯულის ფილები, რომლებიც უფალმა მოსეს სინას მთაზე გადასცა; 2) ჭურჭელი ღვთიური მანანათი; 3) შვიდსანთლიანი სასანთლე; 4) აარონის კვერთხი. თითოეული ატრიბუტის აღწერილობა და წარმომავლობა მოცემული და ვრცლად განხილულია.

„სიბრძნის კიდობანმა“, ისევე, როგორც სხვა ძველაღთქმისეულმა სიმბოლოებმა, ქრისტიანულ სამყაროში ახალი მნიშვნელობა შეიძინა. როგორც ეს ხშირად ხდება ხოლმე სიმბოლოთა სამყაროში, ერთ კონკრეტულ სიმბოლოს შეიძლება ახალი დატვირთვა შეემატოს და იგი სრულიად ახლებური გააზრებით წარმოგვიდგეს. „კიდობანი“ ღვთისმშობელს დაუკავშირდა თავისი შემადგენელი ელემენტებით. საღვთისმეტყველო ტექსტების საფუძველზე ჩამოყალიბდა ამ სიმბოლოს შესაბამისი იკონოგრაფია. საშრომში მოცემული იქნება თეორიები, თუ რატომ გახდა „აღთქმის კიდობანი“ დედა ღვთისას სახე, სიმბოლური განსაზღვრება.

სიბრძნის კიდობანსა და კარავს გამოსახავდნენ შუა საუკუნეების ტაძრებსა და მინიატურებზე. მოცემული ნაშრომის ფარგლებში განხილული იქნება ქართულ ხელოვნებაში ამ სიმბოლოს შემცველი ძეგლები: 1) ბეთანიის ღვთისმშობლის ტაძარი; 2) ზარზმის ფერიცვალების ტაძარი; 3) ლიხნის ღვთისმშობლის სახელობის ტაძარი. ეს ტაძრები XI-XIV საუკუნეებს განეკუთვნება და გააჩნიათ მეტად საინტერესო იკონოგრაფიული სქემა. ამ ძეგლების იკონოგრაფიული აღწერის გვერდით მოცემული იქნება პარალელები თანადროულ უცხოურ ძეგლებთან. გარდა ამისა, ნაშრომი იქნება მოკრძალებული მცდელობა იმის დადგენისა, თუ რატომ წამოიწია წინ ამ სიმბოლომ შუა საუკუნეებში, რა სასულიერო და საღვთისმეტყველო ლიტერატურა უმყარებს ყოველივე ამას საფუძველს და რა თვალსაზრისით უკავშირდება იგი ღვთისმშობელს.

Summary

Every event depicted in the Old Testament is represented as a kind of a preface and events in the New Testament and the most important theme out of most of them is the idea of the birth of the savior of the universe who will be born by a virgin. This prophecy is shown in numerous episodes of the Old Testament. Tent of the Congregation (וְהֵל מוֹעֵד , also known as a Tent of Meeting), the main sacredness of which was the Arc of the Covenant, represented the most important shrine of the Jews. The old Greek word to denote this holiness was the word “skene” and out of phrase derives its second meaning term in old greek language “skinia” which stands for Tabernacle. This term In Old Hebrew is “mishkan” meaning “residence” or “dwelling place”. The Tent of Testament according to Bible, was the mobile temple of the Jews. In the present thesis, the main topic of our research is the most important relic of the tent - The Arc of the Covenant, which was the place where the following national holy objects were placed: 1)The two stone Tablets of the Ten Commandments handed to Moses by God at Mount Sinai; 2)Pot of Holy Manna; 3) The Menorah, which is a seven-lamp (six branches) ancient Hebrew lampstand; 4) Aaron’s Rod. The present thesis gives the description and origin of each of the above mentioned object.

“The Ark of Covenant” as well as other Old Testament symbols received a new meaning in Christian world. As it’s usually the case with symbols, one specific symbol may acquire absolutely different emphasis and be seen with a completely new meaning. In our case “The Ark of the Covenant” became strongly connected to Virgin Mary with its constituent elements and hence was formed the related iconography. The thesis presents some theories why this holy object became the symbol of Virgin Mary. “The Arc of the Covenant” and The tent was depicted on the Middle ages temples and miniatures. Our present historic monuments related to the above mentioned symbols will be discussed, namely: 1. **Betania** temple of the Nativity of Virgin Mary; 2. **Zarzma** temple of Transfiguration; 3. **Likhni** temple of Dormition of Virgin Mary. These monuments belong to XI-XIV centuries and have very

interesting iconographic scheme. Alongside the description of the iconography of the mentioned Georgian historical monuments, the parallels will be presented with the monuments located abroad. Besides, the present thesis will be a modest attempt to determine why the interest towards these symbols was brought up in christian reality; what religious and theologian literature strengthens this theory and how it is connected with Virgin Mary.

სარჩევი

ანოტაცია -----	3
შესავალი -----	6
თავი I	
ღვთისმშობლის ძველადიქმისეული სიმბოლოები XI-XIV სს. ქართულ კედლის მხატვრობაში	
თავი I.I	
ბეთანიის ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძარი -----	8
თავი I.II	
ლიხნის ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძარი -----	14
თავი I.III	
ზარზმის ფერიცვალების სახელობის ტაძარი -----	20
თავი II	
„სიბრძნის კიდობნისა“ და ღვთისმშობლის სიმბოლოთა იკონოგრაფია და საღვთისმეტყველო საზრისი -----	26
დასკვნა -----	43
გამოყენებული ლიტერატურა -----	44
ილუსტრაციების სია -----	47
ალბომი -----	49

შესავალი

სიმბოლური აზროვნება კაცობრიობას უძველესი ხანიდან ახასიათებდა. რელიგიის თანამედროვე ისტორიის ფუძემდებლისა და ფილოსოფოსის, მირჩა ელიადეს თქმით, ადამიანის აზროვნებაში სიმბოლოს არსებობა უმნიშვნელოვანეს ადგილს იკავებდა როგორც არქაულ, ისე ნებისმიერ ტრადიციულ საზოგადოებაში. სიმბოლოს მეშვეობით ადამიანი ითვისებს და იაზრებს მის ირგვლივ არსებულ სამყაროს. საზოგადოების განვითარების რაღაც ეტაპზე სიმბოლოთა „ენამ“ კომუნიკაციის ფუნქციაც შეითვისა. იგი არასდროს შეზღუდულა ერთი კონკრეტული ისტორიული პერიოდითა და ტერიტორიული სივრცით. სიმბოლოების „ენა“, შეიძლება ითქვას, უნივერსალურია.

სათქმელის სიმბოლურად გამოხატვას ეფუძნება წმიდა წერილი - ძველი და ახალი აღთქმა. ეს ორი ეპოქა არ არსებობს ერთმანეთისგან დამოუკიდებლად - ძველი წინასახეა ახლისა. ყველაზე გამოკვეთილად ეს კავშირი ღვთისმშობელთან დაკავშირებულ წინასწარმეტყველებებში ვლინდება. დედა ღმრთისას სახე-სიმბოლოთა გააზრება შეუძლებელია ძველი აღთქმის მოვლენათა გაუთვალისწინებლად, რადგან ძველი აღთქმა იყო მზადება, მოლოდინი და მინიშნება ახალ აღთქმაში გაცხადებული სასწაულისა - ქალწულისაგან იშვება კაცობრიობის მხსნელი.

საქართველოში ღვთისმშობლის კულტს განსაკუთრებული ადგილი უკავია. ჩვენი ქვეყნის წილხვდომილობის იდეა, ფაქტობრივად, ერის გენეტიკურ კოდში დევს. ამ იდეამ ასახვა ქართულ მწერლობასა და ხელოვნებაში პოვა.

ღვთისმშობლის სიმბოლოთა ნაწილი მისი ქალწულებრივი ბუნების, შეურყვნელობისა და სიწმინდის წარმოჩენას ემსახურება (მაგალითად, ისეთი სიმბოლოები, როგორცაა: დაბეჭდილი წყარო, შეუწველი მაცვლოვანი, დახშული ბჭე თუ სხვა), სახე-სიმბოლოთა ნაწილი კი ხაზს უსვამს მარიამში ღვთიური სიტყვის განცხადების, მაცხოვრის ამქვეყნად მოვლენის იდეას. სწორედ ამ სწავლებას წარმოაჩენს ყველაზე კარგად „სიბრძნის კიდობანი“ (იგივე „აღთქმის კიდობანი“), როგორც სიმბოლო და დედა ღმრთისას წინასახე.

„სიბრძნის კიდობანი“ იყო ებრაელთა მოძრავი ტაძრის, რჯულის კარვის, მთავარი სიწმინდე, რომელშიც დაბრძანებული იყო ეროვნული საგანძური: 1. რჯულის ფიცრები,

რომლებზედაც ათი მცნება იყო ამოტვიფრული; 2. ჭურჭელი ღვთიური მანანათი; 3. შვიდსანთლიანი შანდალი; 4. აარონ მღვდელმთავრის აყვავებული კვერთხი. კიდობანი იყო ის ადგილი, სადაც კაცთა შორის ღმერთის წყალობა სუფევდა. ამავდროულად, მასში განცხადებულია ყრმა იესოს განმასხეულებელი ღვთისმშობლის სახე.

შუა საუკუნეებში ძველადღმისეულმა იკონოგრაფიულმა სიუჟეტებმა კვლავ ერთ-ერთი წამყვანი ადგილი დაიკავა. მკვლევართა განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს პალეოლოგოსთა ეპოქის მარიოლოგიური ბიბლიური ციკლები. განსაკუთრებით ამ პერიოდში ბიზანტიურ, ბალკანურ, რუსულ მონუმენტურ მხატვრობასა და ხატწერაში ფართო გავრცელებას პოულობს არა მარტო აპოკრიფული ციკლის გამოსახულებანი მარიამ ღვთისმშობლის ცხოვრებიდან და ჰიმნოგრაფიული ტექსტების - დაუჯდომლების, საშობაო საგალობლების - ილუსტრაციები, არამედ ღვთისმშობლის ძველადღმისეული სიმბოლოების გამოსახულებანიც. ასეთი ინტერესი მარიოლოგიური ხატწერისადმი, ბუნებრივია, იწვევდა ღვთისმშობლის კულტის კიდევ უფრო განვითარებას.

ჩვენ მიერ განხილული ქართული ძეგლები მოქცეულია XI-XIV საუკუნეების ქრონოლოგიურ ჩარჩოში. ესენია: 1. ბეთანიის სამონასტრო კომპლექსში შემავალი ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძარი; 2. ზარზმის ფერიცვალების სახელობის ტაძარი; 3. ლიხნის ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძარი. თითოეული მათგანი თავისი უნიკალური იკონოგრაფიით გამოირჩევა და, რაც ამ ნაშრომის ფარგლებში უმთავრესია, ყველა ზემოჩამოთვლილ ძეგლში, გარკვეული ვარიაციებითა და სახესხვაობებით, მოგვეპოვება „სიბრძნის კიდობნის“ გამოსახულება.

თემასთან დაკავშირებით გავეცანი ძეგლების ირგვლივ არსებულ ლიტერატურას - ეკა პრივალოვას ნაშრომებს: „Новые данные о Бетании“; „ბეთანიის ტაძრის მოხატულობა“; ლეონიდე შერვაშიძის ფუნდამენტურ ნაშრომს „Средневековая Монументальная живопись в Абхазии“; ალა მაკაროვას სტატიას „Фрески алтарной апсиды церкви Рождества Богородицы в Бетании (Грузия): стиль живописи и проблема датировки“; ლილია ევსეევას ნარკვევს „Две символические композиции в росписи XIV в. монастыря Зарзма“; ექვთიმე თაყაიშვილის 1905 წლის ექსპედიციის შედეგების ანგარიშს; ელენა

ვინოგრაფიკის სტატიის სახელწოდებით „Фрески церкви Успения Богородицы в селе Лыхны в Абхазии: стиль и датировка“ და სხვ. იკონოგრაფიის შესწავლის თვალსაზრისით გამოვყოფდი ოლგა ეტინგოფის ნაშრომს „Образ Богоматери“. ამასთანავე, განხილულია საღვთისმეტყველო ნაშრომები ღვთისმშობლის ძველდღესობის სიმბოლოთა ირგვლივ. ძირითადად კი - დედა ღვთისას სიმბოლო კარავი, მისი მთავარი რელიქვია კიდობანი და მათში შემავალი სიწმინდეები.

თავი I

I.I. ბეთანიის ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძარი

ბეთანიის სამონასტრო კომპლექსი მდებარეობს თბილისის სამხრეთ-დასავლეთით, დედაქალაქიდან დაახლოებით 16 კილომეტრის მანძილზე, მდინარე ვერეს ხეობაში. კომპლექსი შედგება ორი ძირითადი ნაგებობისგან. ესენია: 1196 წელს აგებული წმიდა გიორგის სახელობის ბაზილიკა და ღვთისმშობლის შობის სახელობის მთავარი ტაძარი, რომელიც XII-XIII საუკუნეებით თარიღდება (ტაბ. 1). სწორედ ეს უკანასკნელი ძეგლი ექცევა ჩვენი ყურადღების ცენტრში მოცემული ნაშრომის ფარგლებში.

არქიტექტურული თვალსაზრისით, ბეთანიის კომპლექსის მთავარი ტაძარი ჯვარ-გუმბათოვან ტიპს განეკუთვნება (ტაბ. 2; ტაბ. 3). გააჩნია ორი შესასვლელი - ერთი სამხრეთი კედლის დასავლეთ ნაწილში, ხოლო მეორე - დასავლეთ კედელში. სამხრეთიდან მიშენებული აქვს კარიბჭე. მორთულობა შეესაბამება განვითარებულ შუა საუკუნეებში არსებულ იმ სტილს, რომელსაც „ცხოველხატური სტილის“ სახელწოდებით ვიცნობთ. ექსტერიერში ტაძრის მთავარ მორთულობას წარმოადგენს მოჩუქურთმებული სარკმლები. ინტერიერში განათების მთავარი წყაროა გუმბათის ყელში განლაგებული თორმეტი სარკმელი, რომლებსაც კიდევ ემატება ოთხივე მკლავში მოთავსებული სამ-სამი სარკმელი. ტაძრის გუმბათის სიმაღლე 27 მეტრს აღწევს, აქვს ცილინდრული ფორმა, უწყვეტი თაღებით თორმეტ ნაწილადაა დაყოფილი და კონუსური სახურავით მთავრდება.

როგორც ირკვევა, აღნიშნული ძეგლი აგურით ნაშენი ძველი ტაძრის ადგილას აიგო, რომელიც მოგვიანებით მთლიანად ახალი ტაძრის სივრცეში მოექცა. მკვლევართა აზრით, დასავლეთით მდებარე აგურის კარიბჭე სწორედ იმ ადრეული ნაგებობის ნაწილი უნდა იყოს. ამგვარი გაფართოება უცხო არაა ქართული არქიტექტურისათვის. თუ გავიხსენებთ მანგლისის ან სვეტიცხოვლის მაგალითებს, დავინახავთ, რომ მცირე ზომის ტაძრები შემდეგში ახალი ნაგებობის შესისხლხორცებულ ნაწილს წარმოადგენდა. ბეთანიის შემთხვევაში არსებობს ვარაუდი, რომ თავდაპირველი ტაძარი სულ სხვა არქიტექტურულ ტიპს განეკუთვნებოდა. ამ მოსაზრებას ავითარებს ეკატერინე პრივალოვა თავის ნაშრომში «Новые данные о Бетании». მეცნიერმა

ყურადღება მიაქცია ისეთ არქიტექტურულ დეტალს, როგორცაა აფსიდის ნალისებრი ფორმა. მსგავსი გადაწყვეტა მხოლოდ X ს. შუა ხანებამდე გვხვდება, უფრო გვიან კი უკვე - აღარ. ამ მოსაზრებას ამყარებს ტაძრის კედლის მხატვრობაც, რომლის განხილვისას ამოსავალი წერტილი სწორედ ეკატერინე პრივალოვას აღნიშნული კვლევა იქნება.

ბეთანიის ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძრის ქრონოლოგიური ჩარჩო, რა სახითაც მან ჩვენამდე მოაღწია, XII საუკუნის დასასრულითა და XIII საუკუნის დასაწყისით იფარგლება. თარიღი თამარ მეფისა და გიორგი IV ლაშას ცნობილი პორტრეტული გამოსახულებიდან, უფრო კონკრეტულად კი, უფლისწულის გამოსახულების დეტალებიდან გამომდინარეობს - ლაშა-გიორგი აქ გვირგვინით და ხმლით წარმოგვიდგება, რაც მიგვანიშნებს იმაზე, რომ იგი უკვე მეფედ ნაკურთხია, კორონაცია კი 1207 წელს მოხდა. ამავე დათარიღებას იზიარებს ვახუშტი ბაგრატიონი, რომელიც თავის თხზულებაში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ზნენი და ჩვეულებანი საქართველოსანი“ აღნიშნავს, რომ მონასტერი თამარ მეფემ ააგო.

ტაძრის მოხატულობამ ჩვენამდე ნაკლები სახით მოაღწია - განადგურდა ფრესკული ნიმუშები გუმბათში, გუმბათქვეშა თაღებზე, საკურთხევლის აფსიდის ზედა ნაწილში (ტაბ. 4). რაც შეეხება საკურთხეველს ქვედა ნაწილსა და ბემას, მოხატულობა აქ ოთხ რეგისტრადაა განაწილებული: კონქში საყდარზე დაბრძანებული მაცხოვარია გამოსახული, ორივე მხარეს, სავარაუდოდ, ქერუბიმებით, რაზედაც ფრთის შემორჩენილი ფრაგმენტი მიგვანიშნებს; ქვედა რეგისტრში 15 ფიგურისგან შემდგარი წინასწარმეტყველთა რიგია ცენტრში დავით წინასწარმეტყველის გამოსახულებით (მისგან ჩრდილოეთი მწკრივი - ელია, მელქისედეკი, ესაია, ზაქარია, მალაქია, ელისე, იესო ნავეს ძე; დავითის სამხრეთი მწკრივი - დანიელი, იერემია, სოფონია, მოსე, იონა, მიქია); შემდეგ გამოსახულია მოციქულთა რიგი, რომელსაც ერთი მხრიდან პავლე, ხოლო მეორედან პეტრე მოციქულები თაოსნობენ. ამ მწკრივმა, გადაწერილი სახით, თითქმის სრულად მოაღწია ჩვენამდე. მეოთხე რეგისტრი შედგება მღვდელმთავართა 16 ფრონტალურად მდგომი ფიგურისაგან. ასევე, სარკმლებში გვაქვს დიაკვნის ორი გამოსახულება. ზოგადად, საკურთხევლის აფსიდის შესამკობად ამ კონკრეტული სქემის არჩევა მეტად უჩვეულოა XII-XIII საუკუნეების ქართული ხელოვნებისათვის. ე.წ. თამარის ეპოქის ძეგლებში კონქში დომინირებს „ღვთისმშობლის დიდების“ თემა.

დეისუსის პროგრამა ტაო-კლარჯეთის ადრეული მოხატული ძეგლებისთვისაა დამახასიათებელი. რა თქმა უნდა, ოსტატი ზუსტ სქემას არ იმეორებს - ის მას ბეთანიის არქიტექტურის შესაბამისად ანაწილებს. კონქის კომპოზიციის სიძველეზე ერთეული დეტალები მიუთითებს, მაგალითად, რთულად გარჩევადი ცეცხლის ენები, რაც მიანიშნებს იმაზე, რომ აქ მოცემული იყო საყდარი ცეცხლოვანი ბორბლებით (ეზეკიელის სიზმრის განცხადება: „ბორბლის ფერსოები სავსე იყო თვალებით ოთხივეს გარშემო“ (ეზეკ 1:18)).

ზოგადად ყურადღება უნდა გავამახვილოთ ერთ გარემოებაზე - ბეთანიის ტაძრის პირველადი კონსტრუქცია მართლაც თამარის ეპოქაში რომ იყოს აგებული, მაშინ საკურთხევლის აფსიდშიც XII-XIII საუკუნეებისათვის სახასიათო - ღვთისმშობელი დიდებით - წარმოგვიდგებოდა, როგორც ამას ვხედავთ ამ პერიოდებში აგებულ ისეთ ძეგლებში, როგორებიცაა: ვარძია¹, ყინწვისის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ტაძარი, ბერთუბანი, ახტალა². შესაბამისად ვასკვნით, რომ ბეთანიის საკურთხევლის კონქის გამოსახულება უფრო ადრინდელი შენობის ნაწილი იყო და გადაკეთების შემდეგ უცვლელად მოაქციეს ახალი ტაძრის სივრცეში. იკონოგრაფიულ ანალიზს ე. პრივალოვა კიდევ ერთ ჰიპოთეზამდე მიჰყავს: იგი საეჭვოდ მიიჩნევს ტაძრის ღვთისმშობლის სახელზე კურთხევას და ამბობს, რომ მას, პირველ რიგში, უშუალოდ მაცხოვართან უნდა ჰქონდეს კავშირი (ეს ეხება XII-XIII საუკუნემდე კონსტრუქციას). ამ შემთხვევაში, მისი აზრით, ამოსავალი წერტილი უნდა იყოს საკურთხევლის კონქში მაცხოვრის გამოსახვა და თვით მონასტრის სახელწოდება „ბეთანია“ (ბერძ. Βηθανία), ანუ ადგილი, სადაც მოხდა ამალღება უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი. ამიტომ ძველი ეკლესიაც ამალღების სახელობის უნდა იყოს.³

მოციქულთა რიგის ქვემოთ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, განთავსებულია მღვდელმთავართა ფრონტალურად მოცემული ფიგურები. მათ ხელში დახურული კოდექსები უპყრიათ (ტაბ. 5). მსგავსი პოზა და ატრიბუტები პრივალოვას ამ პერიოდისათვის შეუფერებლად მიაჩნია - ამ დროს უკვე დამკვიდრდა მღვდელმთავართა სამ-მეოთხედში გამოსახვის წესი, როცა მათ ხელში უკვე

¹ ვარძია; ლენინგრადი, 1975, გვ.75

² ამირანაშვილი შ, ქართული ხელოვნების ისტორია, გვ. 261-274;

³ Привалова Е. (დასახელებული ნაშრომი) გვ. 7

გრაგნილები უჭირავთ. რაც შეეხება სადიაკვნესა და სამსხვერპლოს, აქ, ზოგადად გავრცელებული აზრით, მოხატულობა საერთოდ არ ყოფილა. მხოლოდ ტოლმაჩვესკაია აღნიშნავდა, რომ მხატვრობას უბრალოდ არ მოუღწევია.

და მაინც, რა უნდა ყოფილიყო უკვე აღმართული ტაძრის დაახლოებით 100-150 წლის მერე გადაკეთების და ახალ კონსტრუქციაში შერწყმის მიზეზი? სავარაუდოდ, კონსტრუქცია გარეშე ფაქტორების ზემოქმედების შედეგად დაზიანდა. ა. მაკაროვა, აღნიშნავს რა საქართველოს მაღალ სეისმურ საშიშროებასა და ხშირ მიწისძვრებს, ასეთ ფაქტორად სწორედ მიწისძვრას მოიხსენიებს.⁴ ისტორიული ცნობების მიხედვით, გიორგი მეორის მეფობის დროს, მაშინ, როდესაც საქართველოს „დიდი თურქობის“ რამდენიმე გამანადგურებელმა ტალღამ გადაუარა, მოხდა ძლიერი მიწისძვრა. შესაძლოა, სწორედ ამ სტიქიამ იმსხვერპლა, ან მნიშვნელოვნად დააზიანა ბეთანიის პირველი ტაძარი. შემდეგ კი უკვე ნაგებობა თამარის დროს განახლდა, მოხატულობის ნაწილი გადმოიწერა, გარკვეული ციკლები შეემატა და იკურთხა ღვთისმშობლის სახელზე. სწორედ ამ ფენას ეკუთვნის ჩვენთვის საინტერესო ღვთისმშობლის წინასახეები და კიდობნის გამოსახულებაც.

განვიხილოთ ტაძრის ზოგადი იკონოგრაფიული პროგრამა: გამომხატველობის საოცარი ძალითა და იმ დროისათვის იშვიათი ხატწერით გამოირჩევა გამოსახულებანი ჩრდილოეთის მკლავის სარკმლებში: „იუდას მიერ ოცდაათი ვერცხლის აღება“, „საიდუმლო სერობა“ მაგიდის თავში მჯდომი ქრისტეთი, რომელიც იუდას პურის ნატეხს გადასცემს; აგრეთვე „ფერხთბანა“, რომელიც ორ ნაწილად არის გაყოფილი. ამ ფრესკებში ფიგურები მასშტაბურად და თავისუფლადაა გადმოცემული, მაგრამ შეიმჩნევა სახის ნაკვთების სიმკაცრე. ჩრდილოეთის მკლავში, სადაც თანაბარი და ცივი განათებაა, ფერების უფრო თავშეკავებული გამაა მოცემული; სამხრეთში კი განათება თვალისმომჭრელია, ფერები უფრო მკვეთრია. ასეთი გამოსახულება უფრო ძლიერად იპყრობს დამკვირვებლის ყურადღებას. აქვეა სიმშვენით უიშვიათესი გამოსახულება - „იესოს ლოცვა გეთსიმანიის ბაღში“, დინამიურობით აღსავსე გამოსახულებებია - „იუდას გამცემლობა“, რომელმაც თითქმის ჩანახატის სახით მოაღწია, „პილატე, რომელიც ხელებს იბანს“.

⁴ Макарова А. Фрески алтарной апсиды церкви Рождества Богородицы в Бетании (Грузия): стиль живописи и проблема датировки, გვ. 101

ჯვარცმის გამოსახულებანი გავრცობილია ისტორიული დეტალებით (ტაბ. 6) აქ ერთი წვრილმანიც კი არ ჩანს გამოტოვებული. მაგალითად, გამოსახულია ჭურჭელი ძმრით, გამსკდარი კლდეები, გაპობილი კრეტსაბმელი. მომცრო ტანის კაცს, რომელიც ჯვარს ამაგრებს, ფიგურა რაღაც უცნაურად აქვს შებრუნებული, რაც ერთი შეხედვით შეუმჩნეველია: ხელები მას გადაადგილებული აქვს - მარცხენა ხელს მარჯვენის ფორმა აქვს, და პირიქით, მარჯვენას - მარცხენისა; ეს დეტალი ნათლად ასახავს, თუ რა უსჯულოებას სჩადიან აქ გამოსახული ადამიანები. შემდეგაა: „გარდამოხსნა“ (ტაბ. 7), „დატირება“. ამ გამოსახულებებს მათი განწყობილებით, გადაწყვეტის მუსიკალურობითა და სიმშვენიერით ტაძრის მთელ მოხატულობაში ბადალი არ მოეძებნება.

დასავლეთის კედელზე, სარკმელთა წირთხლებზე შემორჩენილია ქრისტეს სასწაულმოქმედებათა ამსახველი გამოსახულებები: „ემმაკეულთა განკურნება“ (ტაბ. 8) „ბრმის განკურნება“, ქვემოთ - კომპოზიცია „სამოთხე“, სამხრეთით - „აბრაამის წიაღი“, მოპირდაპირე მხარეს, ჩრდილოეთით - „გამზადებული საყდარი“ და მისკენ მიმავალი მართალთა დასი; ანგელოზები, რომლებიც ადამიანთა ცოდვებს წონიან; ცხოველები, რომლებიც მკვდრებს გადმოანთხვევენ, ანგელოზები, ჯოჯოხეთში რომ აგდებენ ცოდვილთ; მოჩანს ცეცხლოვანი მდინარიდან გამოყოფილი მუჰამედის თავი. ჯერ კიდევ შეიძლება გარჩევა გამოსახულებისა „ჰეროდეს ლხინი“ სალომეას ცეკვითურთ; შემორჩენილია უნიკალური ფრესკა, რომელზეც „მარიამ მეგვიპტელის ზიარებაა“ გამოსახული (ტაბ. 9).

ამ ნაშრომის ფარგლებში საინტერესო ღვთისმშობლის ძველადთქმისეული წინასახეები სამხრეთ და ჩრდილოეთ მკლავებშია მოცემული, რომლებიც, როგორც აღვნიშნეთ, თამარ მეფის დროს მოიხატა. ფერწერული ფენა ზედა რეგისტრებში თითქმის სრულიად წარხოცილია. ჩანს, რომ ოდესღაც აქ მხოლოდ ათორმეტი დღესასწაული კი არ იყო წარმოდგენილი, არამედ ზედმიწევნით იყო გამოსახული უფლის ვნებისა და ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის დღესასწაულთა ციკლები, მაგალითად, „ღვთისმშობელი სამოთხეში“ (ტაბ. 10).

ჩვენთვის საინტერესო გამოსახულებები მოთავსებულია ტაძრის სამხრეთ კედელზე და საკმაოდ კარგადაცაა შემორჩენილი - წარმოდგენილია

წინასწარმეტყველთა გამოსახულებანი მათ მიერ წინასწარ უწყებულ პირველსახეებთან ერთად, რომლებიც სიმბოლოურად ღვთისმშობელს უკავშირდება. ეს არის ყველაზე ადრეული განვრცობილი ციკლი, რომელიც დღეისათვის შემორჩენილი ცხრა გამოსახულებისაგან შედგება - მოცემულია დედა ღვთისას ძველადთქმისეული სიმბოლოები, რომელიც შემდეგ პროგრამებში წარმოჩინდა: „ეზეკიელი დახშულ ბჭეთა წინაშე“ (უშუალოდ კიდობნის გამოსახულების ქვემოთ - მის ფერხთით დახშული ნაკადულია მოცემული, რასაც აღწერს კიდევ შესაბამისი წარწერა „ბჭეი დახშული, წყაროდ დაბეჭდული“), მოჩანს „გედეონი საწმისითა და ფიალით“, „მოსე და მაცვალი შეუწველი“, „იაკობის კიბე“ (ტაბ. 11), „არონი განედლებული კვერთხით“, „დანიელი მთის წინაშე“, „სამი ყრმა ბაბილონის სახმილში“ თუ სხვ. ზოგადად, ქართულ ტაძრებში მსგავსი სიმბოლოური მინიშნებები ღვთისმშობლის მიერ ღვთიური „სიტყვის დატევის შესახებ“ მხოლოდ XIII საუკუნის მეორე ნახევრიდან ჩნდება - ჩვენ მიერ შემდგომში უფრო ფრცლად განხილული ორი ძეგლიც ამ ქრონოლოგიურ ჩარჩოში ექცევა.

სამხრეთი მკლავის ზედა ნაწილში წარმოდგენილია თავისი შინაარსითა და სტილით უნიკალური გამოსახულება ე.წ. მოცეკვავე დავითის სახით. სწორედ მის გვერდითაა მოცემული კონკრეტულად „სიბრძნის კარავი“ (და არა კიდობანი) და ჭურჭელი ღვთიური მანანათი. ამას შესაბამისი ასომთავრული წარწერა გვაუწყებს - „ტაკუკი და კიდობანი“ (ტაბ. 12) მთელი სამხრეთი და ჩრდილოეთი მკლავები, როგორც უკვე აღვნიშნეთ, XII-XIII საუკუნეებისა იყო და, შესაბამისად, მუშაობდა სხვა ოსტატი, შემოვიდა ახალი სტილი და ა.შ. ყოველივე ამას, ვფიქრობ, ყველაზე უკეთ სწორედ დავითისა და კიდობნის ერთად წარმოდგენილი კომპოზიცია წარმოაჩენს. აქ ვხედავთ იმ ექსპრესიულობასა და ემოციურობას, რომელმაც წინა პლანზე წამოიწია პალეოლოგოსთა ეპოქის ხელოვნებაში - ე.წ. „ცეკვის“ მომენტში მყოფი ფიგურა მეტად დინამიურია, ცალი ფეხი აწეულია და თითქოს ხტომის, ჰაერში მოძრაობის შთაბეჭდილებას ტოვებს, ამ პოზას იმეორებს შესამოსლის ნაკეცებიც - გრძელმკლავა სამეფო კაბის დრაპირება გამოსახულების სივრცულობას უსვამს ხაზს. სახის წვერულვაში მონაცისფრო ფერებშია გადატყვეტილი, ჩანს მეფის კეფამდე ჩამოყრილი ყავისფერი თმა (ტაბ. 13) აღსანიშნავია ფერთა მკვეთრი წითელი გამა - წითელია დავითის სამოსი და ფეხსაცმელი, გრძელი მოსასხამი კი ღია ლურჯ ფერშია

გადაწყვეტილი (ირგვლივ ოქროსფერი არშია გასდევს, ოქროსფერია შესამოსლის მკლავის ბოლოებიც) და ორგანულად ერწყმის კედელს. თავად კიდობანიც საოცრად კაშკაშა მეწამული ფერისაა, ოქროსფერი ტალღოვანი ორნამენტებით. კიდობანზე დაბრძანებულია ოქროსფერი ჭურჭელი. იგი ორნამენტულ საფუძველზე დგას, აქვს ლამაზად გამოყვანილი მაღალი ყელი, ზომიერად გამობერილი მუცელი, იგივე “გვამი“ და ორი მრგვალი ყური, რომელიც სტამნოსის გვამის შუაწელიდან ამოდის. ზოგადად მოცემული სტამნოსი ფორმით ბერძნულ ამფორასაც მოგვაგონებს, ცენტრში ხაზოვანი ორნამენტი გასდევს, ბოლოში კი სფეროსებრი სახურავით ბოლოვდება. მთელ ამ კომპოზიციას - დავითი და კიდობანი - მიუყვება წითელი ორნამენტული ჩარჩო.

როგორც ვხედავთ, ბეთანიაში კიდობნის ატრიბუტებიდან მხოლოდ ერთი - ტაკუკი მანანათია გამოსახული, თუმცა, მოცემულია ღვთისმშობლის სხვა ძველადიქმისეული სიმბოლოები. როგორც ვიცით, XII საუკუნის II მეორე ნახევრისა და მთელი XIV საუკუნის მანძილზე ოსტატები ისწრაფვიან იკითვენ, რომ უფრო გასაგები ახსნა მოუძებნონ ტრადიციულ სიუჟეტებს, მაგრამ ამის პარალელურად ინტერესი ჩნდება ადრექრისტიანული და ძველიადიქმისეული სიუჟეტებისადმი, რომლებშიც თავს იჩენს სავსებით რეალისტური ნიშნები⁵. სწორედ ამ მოვლენას უნდა ჰქონდეს ადგილი ბეთანიის „აღთქმის კიდობნის“ კომპოზიციაში - მოცემულია დედა ღვთისას ერთ-ერთი წინასახე და დავით წინასწარმეტყველი მეტად დინამიკურ და, ამავდროულად, რეალისტურ პოზაში. ერთ-ერთი მოსაზრების მიხედვით, ეს გამოსახულება სიმბოლურად მიგვანიშნებს დავით IV აღმაშენებლის მიერ დედაქალაქის თბილისში გადმოტანას.

ბეთანიის ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძარში გვაქვს თავად მომხატველთა მიერ დატოვებული მწირი ცნობები, რომლებიც მეორე ფენის შემსრულებლებს, თამარის ეპოქის ოსტატებს უკავშირდება. მაგალითად, პირველი მხატვრის მიერ თეთრი საღებავით შესრულებულია წარწერა: „ქრისტე, შეიწყალე დემეტრე“, გვერდით ორნამენტულ ზოლში, როგორც ჩანს, მისივე ლოცვაა: „*არა მარტო ვარ, შავპირი ჭეშმარიტად. მსაჯულო ყოველთაო, ნუ მარტო მქმენ ყოველთა ქრისტიანეთა წმიდათა შენტაგან*“.

⁵ ჭიჭინაძე ი., მოქვის ოთხთავის გამფორმების მხატვრული პრინციპები; თბილისი, 2004, გვ. 189

მეორე მხატვარმა წარწერა დატოვა სამხრეთის მკლავის დასავლეთ სარკმლის აღმოსავლეთ წირთხლზე, აარონის გამოსახულების ქვედა ნაწილში, აყვავებულ ბალახთა შორის: „უფალო ნუ შეუნდობ სოფრომს“, გვერდით კი შავი საღებავით შესრულებულია მხატვრის პატარა ფიგურა ბერულ ანაფორაში, რომელიც წინასწარმეტყველის ფერხთით არის მუხლმოდრეკილი, ეს ტაძრის მომხატველთაგან ერთ-ერთი საუკეთესო მხატვარია. სავარაუდოდ, იგია წინასწარმეტყველთა და საიდუმლო სერობის ავტორი. მანვე დაგვიტოვა კიდევ უფრო მეტად უცნაური ავტოგრაფი: იმავე სარკმლის დასავლეთ მხარეს, წმიდა დანიელ წინასწარმეტყველის ფერხთით, წითელი საღებავით, ფუნჯის ერთი მოსმით დახატულია სწრაფად მიმავალი ბერის ფიგურა ჯვრით მარცხენა ხელში, რომელიც კვარცხლბეკზე მდგარ ჯვრისკენ მიემართება. ჯვარსა და ფიგურას შორის გამოსახულია ჯვარცმული მაცხოვარი, გადმოცემული მხოლოდ შარავანდითა და ქრისტეს ჭრილობათგან მომდინარე სისხლის წვეთებით.

როგორც ვხედავთ, ეს ძეგლი უმნიშვნელოვანესია თავისი არქიტექტურული ფორმებით, იკონოგრაფიულ სქემათა მრავალფეროვნებით. აქ ქართულ ხელოვნებაში, ფაქტობრივად, პირველად გვხვდება ღვთისმშობლის ძველიადთქმისეულ სახე-სიმბოლოთაგან თითოეული, მათ შორის, „სიბრძნის კარავი“ მხოლოდ ერთი ატრიბუტით - ტაკუკით ღვთიური მანანათი.

I.II. ლიხნის ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძარი

ლიხნის ღვთისმშობლის სახელობის ტაძარი მდებარეობს აფხაზეთში, გუდაუთის რაიონიდან ხუთ კილომეტრში, სოფელ ლიხნში (შუასაუკუნეების ქართულ წყაროებში სოფელს „ზუფუ“ ეწოდება). ეს ძეგლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თავისი არქიტექტურული გადაწყვეტითა და ფრესკული მხატვრობით (ტაბ. 14) სამწუხაროდ, შუა საუკუნეების ქართულ წყაროებში ლიხნის შესახებ ცნობები არ არის შემორჩენილი. ტაძრის ყველაზე ადრეული მოხსენიება გვხვდება დიუბუა დე მომპერესთან. მან თავად იმოგზაურა სოფელ ლიხნში, მოინახულა ტაძარი და მოკლედ აღწერა მოხატულობა. სოფლის შესახებ მცირე ინფორმაციას ვაწყდებით ვახუშტი ბაგრატიონთანაც, იგი ლიხნის სწორედ „ზუფუს“ სახელით იხსენიებს: *„ხოლო ანაკოფიის დასავლეთი არს აფხაზეთი... ანაკოფიის დასავლეთით დის აღაცოს წყალი... ამ აღაცოს წყლის დასავლეთით დის ზუფუს მდინარე... არს ზუფუ მცირე ქალაქისაგრი, სახლი და საყოფელი შარვაშიძისა, რომელი მპყრობლობს აფხაზთა.“* (ტაბ. 15)

არქიტექტურული თვალსაზრისით, ლიხნის ტაძარი წარმოადგენს წაგრძელებულ ჯვარგუმბათოვან ნაგებობას, რომელსაც აღმოსავლეთით სამი შვერილი აფსიდი გააჩნია (ტაბ. 16). გუმბათი დასვენებულია ოთხ თავისუფლად მდგარ სვეტზე. თითოეულ სვეტს ჯვრული კონფიგურაცია გააჩნია, რაც განპირობებულია პილასტრების ოთხივე მხრიდან მიერთებით. ტაძრის ფასადი მოპირკეთებულია სუფთად გათლილი მოყვითალო ქვის კვადრებით. ფასადი მოკლებულია მორთულობას, რითაც უფრო თვალსაჩინო ხდება ნაგებობის პროპორციების დახვეწილობა და მასების ჰარმონიულობა. ტაძარი აგებულია X საუკუნის დასასრულსა და XI საუკუნის დასაწყისში (თუმცა, დათარიღებასთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობა არსებობს).

XIV საუკუნეში ტაძარი გადაუკეთებიათ, ჩრდილოეთითა და სამხრეთით ეკვდერები მიუშენებიათ. ტაძრის ინტერიერი მთლიანად შელესილი და მოხატული ყოფილა, რაზეც ნათლად მეტყველებს შემორჩენილი ფრაგმენტები. მოხატულობა ყურადღებას იქცევს ფაქიზი კოლორიტით, ფიგურების დინამიკურობითა და ექსპრესიულობით. როგორც ირკვევა, ტაძარი პირველად X-XI საუკუნეების მიჯნაზე მოუხატავთ, მეორედ კი - XIV საუკუნეში, როდესაც ტაძარი გადააკეთეს. კომპლექსში შედის ორიარუსიანი

სამრეკლოც (ტაბ. 17). მახლობლად შემორჩენილია აფხაზეთის მთავართა, ჩაჩბა-შერვაშიძეთა, ორსართულიანი სასახლის ნანგრევები (ტაბ. 18). სასახლე გვიანდელი შუა საუკუნეების საერო ხუროთმოძღვრების საინტერესო ნიმუშია. კედლების წყობაში რამდენიმე სამშენებლო ფენა შეიმჩნევა. ამასთან, უფრო ძველი, XVI-XVII საუკუნეებისა, აგებულია კირქვის ფილებით. ეს ის დროა, როდესაც ლიხნი აფხაზთა სამთავროს პოლიტიკური ცენტრი გახდა. XIX საუკუნეში სასახლე გადააკეთეს და მნიშვნელოვნად გააფართოვეს. სასახლის მეორე სართული ხისგან იყო ნაგები.

ლიხნის ტაძარში ფრესკული მხატვრობით დაფარული იყო კედლები, კამარები, ბურჯები და გუმბათი. იკონოგრაფიული სქემა ხაზს უსვამდა ევქარისტული მსხვერპლშეწირვის თემას. ამავდროულად იგი ღვთისმშობლის განდიდებისაკენ იყო მიმართული - ღვთისმშობელი ორანტის პოზაში, შვიდი მთავარანგელოზის გარემოცვაში, გუმბათში იყო გამოსახული (ტაბ. 19); ჩვილადი ღვთისმშობლის დიდება იყო მოცემული მთავარი აფსიდის კონქში, სადაც განირჩეოდა საყდრის ნაწილი, მუთაქა, დედა ღვთისას აქეთ-იქეთ გამოსახულ ანგელოზთა სამოსელის ფრაგმენტები. ამჟამად ეს კომპოზიცია საერთოდ არ იკითხება (ტაბ. 20).

კონქის გამოსახულების უშუალოდ ქვემოთ წარმოდგენილია ევქარისტია ორი სახით, ანუ ვრცელი კომპოზიცია აქ პირობითად იყოფა ორ ნაწილად - ერთ მხარეს მაცხოვარი მის წინ მოწიწებით მოხრილ მოწაფეს პურით აზიარებს, ხოლო მეორე მხარეს მოწაფის ტუჩთან მიაქვს ჯვრით დამშვენებული თასი (ტაბ. 21). ამ კომპოზიციას ვრცლად იმიტომ შევეხეთ, რომ მას ერთი უმნიშვნელოვანესი დეტალი განასხვავებს ამ ეპოქის (XIV ს.) სხვა ძეგლებისაგან - აქ როგორც მარჯვენა, ისე მარცხენა მხარეს მოცემულია მოციქულთა 12-12 ფიგურა, მაშინ, როდესაც ზოგადად გავრცელებული წესის თანახმად, აქეთ-იქეთ ვხედავთ 6-6 მოციქულს. ამასთან ერთად, ლიხნის ამ სქემაში მოგვეპოვება კიდევ ერთი უნიკალური თავისებურება - ჩრდილოეთ მხარეს ქრისტეს ზიარების მისაღებად მხოლოდ 11 ფიგურა უახლოვდება, პროცესიას ერთი პერსონაჟი აკლია და ეს პერსონაჟი იუდაა. მისი მკრთალი ფიგურა მოციქულთა რიგის უკან განირჩევა (ევქარისტულ სცენაში შესაძლებელია, ზოგჯერ იუდა ცალკე მდგომ პოზაში იყოს). ერთ-ერთი მოსაზრების მიხედვით, მოციქულთა რიგის საპირისპიროდ მდგარი იუდას

ღია პირში დემონი, ეშმაკეული შედის, ანუ მოცემულია „ეშმაკეულით შეპყრობა“.⁶ სხვა თეორიის თანახმად, აქ გვაქვს იუდას მიერ, ასე ვთქვათ, „ზიარების ამოფრქვევის“ (ზიარების შემაჩვენებელი) გამოსახულება. ეს მოტივი, რომელიც ცნობილია XII საუკუნიდან, განსაკუთრებულ გავრცელებას პოულობს XIV საუკუნის მეორე ნახევრის ბიზანტიურ ტაძრებში.

ტაძრის კედლებზე გამოსახულია მღვდელმთავართა - ბასილი დიდის, წმინდა კირილე ალექსანდრიელის, მღვდელმოწამე ფოკა სინოპელის, წმინდა ნიკიფორე კონსტანტინეპოლელის (ტაბ. 22), სპირიდონ ტრიმიფუნტელის, ევტიხი იერუსალიმელის, გერმანე კონსტანტინეპოლელის (ტაბ. 23) ფიგურები; სახეები კეთილშობილურია, გამომეტყველება - მკაცრი, ნაკვთები - სწორხაზობრივი, სწორი, რომაული ცხვირით.

სანამ უშუალოდ „კარვის“ გამოსახულებაზე გადავიდოდე, ვფიქრობ, მნიშვნელოვანია ერთი კომპოზიციის აღწერა, რადგან ისიც ძველალექსიკონური სიუჟეტის ასახვას წარმოადგენს და კარვის კომპოზიციის ახლოსაა განლაგებული. ეს სცენაა აბრაამის სვლა მსხვერპლშეწირვის ადგილისაკენ: აბრაამის სვლა სამი ფიგურითაა მოცემული (ტაბ. 24) - ვხედავთ უკვე ახოვან, ჭალარათმიან აბრაამს, მას გრძელი ქიტონი მოსავს, რომლის ირგვლივაც შემოხვეულია ქიმატიონი, იგი ერთადერთი ფიგურაა ამ სცენაში, რომელიც ყვითელი შარავანდითაა წარმოდგენილი, მარცხენა ხელში მას სამი ანთებული სანთელი უპყრია, ხოლო მარჯვენის მოძრაობითა და ჟესტიკულაციით ვხვდებით, რომ მამამთავარი მის წინ მიმავალს მიმართავს; აბრაამის პირდაპირ ვხედავთ ახალგაზრდა ბავშვის, ჭაბუკი ისააკის ფიგურას, მას თავი მამისკენ აქვს მიბრუნებული, რაც მიანიშნებს, რომ იგი აბრაამის ნათქვამს უსმენს, ისააკიც ქიმატიონის მსგავსი სამოსითაა. ყველაზე წინ მიმავალ ადამიანში ჩვენ ვხედავთ მონას, რომელიც ზურგზე შეკრულ შემას ეზიდება, მისი მოვარდისფრო ფერში გადაწყვეტილი ტანსაცმელი მარტივადაა დამუშავებული. ყველა ფიგურა ერთ სიბრტყეზეა მოცემული. ფონად ვხედავთ კლდის მასივს, რომლის თავზეც მოცემულია ამ კომპოზიციის ღერძული ცენტრი - ფოთლებით დაფარული განიერი ხე. ამ კომპოზიციაში წარმოდგენილია, ერთი შეხედვით, სავსებით ტრადიციული იკონოგრაფიული სქემა, მაგრამ არსებობს

⁶ შერვაშიძე ლ., (დასახელებული ნაშრომი), გვ. 84-85

ერთი მნიშვნელოვანი თავისებურება - ლიხნის ოსტატს ფართოდ გავრცელებულ და უკვე ჩამოყალიბებულ სქემაში შემოყავს მესამე პერსონაჟი - მონა, რომელსაც ზურგით მოაქვს შეშა. როგორც წესი, შეშის ფუთა თავად ისააკს მოაქვს, რაც იდეურად ქრისტეს მიერ საკუთარი ჯვრის გოლგოთაზე აზიდვას უკავშირდება, მაგრამ ამ კომპოზიციაში ყველაფერი სხვაგვარადაა. შესაძლოა, ამ მხატვრობაში მონის მიერ შეშის ზიდვა თავისებურად უკავშირდებოდეს სახარების იმ ეპიზოდს, რომელსაც სამ მახარებელთან - მათესთან, მარკოზთან და ლუკასთან - ვხვდებით: როგორც ვიცით, გოლგოთის მთისკენ სვლის დროს მაცხოვრის ჯვრის ტვირთვა ჯარისკაცებმა აიძულეს სიმონს, კირენელ გლეს. შესაძლებელია, ამიტომაც იყოს დამატებული აბრაამის მსხვერპლშეწირვის კომპოზიციაში მესამე პერსონაჟი.⁷

საკურთხევლის აფსიდში, ძველადთქმისეულ ციკლებს შორის, მოცემულია „ადთქმის კარავი“ (მას ახლავს შესაბამისი ბერძნული წარწერა) - რომელმაც საკმაოდ დაზიანებული სახით მოაღწია ჩვენამდე (ტაბ. 25). კარავი სამი დამოუკიდებელი კოშკურის მქონე შენობის სახითაა წარმოდგენილი, რომელიც ძვირფასი ქვებითაა შემკული; საშუალო კოშკურა ორ განაპირა კონსტრუქციაზე უფრო მაღალია; შიდა სივრცესა და შენობის სახურავს მომრგვალებული, თალისებრი ფორმა გააჩნია, წარმოდგენილია სალხინებელი, განირჩევა, ასევე, ბრტყელი გამოსახულებები მოოქროვილი შიგთავსითა და წითელი კონტურებით, რაც, სავარაუდოდ, კრეტსაბმელის დრაპირებები უნდა იყოს; უშუალოდ სალხინებლის ქვემოთ მოცემულია ძვირფასი თვალ-მარგალიტით შემკული ტრაპეზი; ტრაპეზზე დგას კიდობანი ბრტყელი სახურავით; სახურავზე მდიდრული ჭურჭელია, რომლის შუაში, მედალიონში ჩასმული ღვთისმშობლის გამოსახულებაა მოცემული. მედალიონი დედა ღვთისას გამოსახულებით განირჩევა ტრაპეზზე გადაკრული გადასაფარებლის ცენტრშიც. ეს კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმას, რომ კიდობანი და მთლიანად კარავი ღვთისმშობლის ნიშნითაა აღბეჭდილი. საყდრის მარჯვნივ მოცემულია შვიდსანთლიანი სასანთლე ანთებული სანთლებით.

⁷ შერვაშიძე ლ., (დასახელებული ნაშრომი), გვ. 98-99

კარვის შიგნით განირჩევა იქ არსებული ტრაპეზისკენ სამი-მეოთხედით მიბრუნებული ორი ფიგურა. ერთი მათგანი მოხუცი, ხოლო მეორე შუა ხნის მამაკაცია მოკლე თმებითა და წვერით. მოხუცს თავზე ადგას მდიდრული გვირგვინი და იგი შარავანდითაა გამოსახული. ორივე ფიგურას მდიდრული, თვალ-მარგალიტით გაწყობილი, სავარაუდოდ, სამღვდელმთავრო შესამოსელი მოსავთ. მოცემულ ფრესკას არ ახლავს განმარტებითი წარწერები, რის გამოც ჭირს მათი ვინაობის დადგენა. ტრადიციისამებრ, სჯულის კარავში მსახურების სცენაში გამოსახავდნენ ხან მელქისედეკ მღვდელმთავარს (მაგალითად, სანტ-აპოლინარე-ნუოვოს ეკლესიის მოზაიკა), ხანაც აარონ მღვდელმთავარსა და მოსე წინასწარმეტყველს (როგორც ამას ვხედავთ ქილენდარის მონასტრის მოხატულობაში, რომელიც მეტად ახლოს დგას ლიხნის სიბრძნის კიდობნის გამოსახულებასთან).

მიუხედავად ამ კომპოზიციაში არსებულ პირთა ვინაობის დაუდგენლობისა, ნათელია ერთი რამ - ლიხნის ღვთისმშობლის მიძინების ტაძრის ამ გამოსახულებაში წარმოდგენილია „აღთქმის კარავში“ მსახურების ამსახველი სცენა. ზოგადად, „აღთქმის კარვის“ იკონოგრაფია სამკომპიანი კარვის სახით დამახასიათებელია პალეოლოგოსური პერიოდის ბიზანტიური მხატვრობისათვის - იგი X-XII საუკუნეებში იყო ცნობილი. ლიხნში ჩვენ ვხედავთ ღვთისმშობლის ამ სიმბოლოს ყველაზე განვითარებულ და ჩამოყალიბებულ სახეს, რომლის კონსტრუქციის არქიტექტურული თავისებურებაა სალხინობლის არსებობა კარვის შიგნით. ლიხნში წარმოდგენილია „სიბრძნის კიდობნის“ თითქმის ყველა ატრიბუტი: შვიდსანთლიანი შანდალი, ჭურჭელი ღვთიური მანანათი. სცენა, როგორც უკვე ითქვა, განთავსებულია საკურთხევლის თვალსაჩინო ადგილას, ტრაპეზზე და მანანიან ჭურჭელში ნათლად იკვეთება ღვთისმშობლის სახე - ყოველივე ეს მიემართება საკურთხეველში ღვთისმშობლის დიდებით წარმოდგენილ გამოსახულებას და მის ქვემოთ გაშლილ ევქარისტიულ სქემას.

საქართველოს ამ უძველესი ისტორიული რეგიონის ოკუპაციის შედეგად ქართველ მეცნიერებს 1993 წლიდან არა აქვთ აფხაზეთის კულტურული მემკვიდრეობის მონახულების და კვლევითი სამუშაოების ჩატარების შესაძლებლობა, რასაც ვერ ვიტყვით რუს მეცნიერთა მიმართებაში, რომლებიც აფხაზეთის ტერიტორიაზე

არსებულ უძველეს ქართულ-ეკლესია მონასტრებს ხშირად სტუმრობენ და, უმეტეს შემთხვევაში, მათ არა ქართულ, არამედ მართოდ ბიზანტიურ, ან „რუსულ-აფხაზურ“ ძეგლებად მოიხსენიებენ. აფხაზეთის საქართველოდან იურიდიული ჩამოშორებიდან 26 წელი გავიდა და ამ ხნის განმავლობაში, გასაგები მიზეზების გამო, კიდევ უფრო რადიკალურად შეიცვალა ჩვენი ქვეყნის მეზობელი სახელმწიფოს დამოკიდებულება საქართველოს ამ უძველესი ტერიტორიისა და იქ არსებული ქართული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვის, განსაკუთრებით კი, მათი ავთენტურობის შენარჩუნების თვალსაზრისით. უკანასკნელ წლებში აფხაზეთის ტერიტორიაზე ან სრულად ნადგურდება ეკლესია-მონასტრები (მაგ. წებელდის XIX საუკუნის ეკლესია), ან მიზანმიმართულად იცვლება მათი გარეგნული იერ-სახე (XI საუკუნის ილორის წმ. გიორგის სახელობის ეკლესია) და იშლება ძეგლებზე დატანილი ქართული ტრადიციული ხუროთმოძღვრებისათვის დამახასიათებელი ნიშნები, ლაპიდარული და ფრესკული წარწერები.

თანამედროვე რუსი ხელოვნებათმცოდნე ელენა ვინოგრადოვას ნარკვევი „Фрески церкви Успения Богородицы в селе Лыхны в Абхазии: стиль и датировка“ ჩვენი საკვლევი საკითხის თვალსაზრისით, უთუოდ, მნიშვნელოვანია, მაგრამ აღსანიშნავია მისი პოზიცია ძეგლთან მიმართებაში, რამაც მიიქცია ჩემი ყურადღება: ნაშრომის დასაწყისში ე. ვინოგრადოვა აღნიშნავს, რომ დასავლეთევროპელი მკვლევრები - ტ. ველმანსი და დ. მურიკი - რომლებიც სწავლობდნენ ქართულ მხატვრობაზე ბიზანტიური სტილის გავლენას, ერთმნიშვნელოვნად მიუთითებენ, რომ ლიხნი სუფთა ქართული ანსამბლია, როგორც არქიტექტურული, ასევე, იკონოგრაფიული თვალსაზრისითაც. ვინოგრადოვას აზრით კი ლიხნის ტაძრის მოხატულობის პროგრამა შესაბამისობაშია ბიზანტიურ ტრადიციასთან და მას არანაირი ქართული სპეციფიკური თვისება არ გააჩნია. გუმბათის დეკორაცია, მცირეოდენი ცვლილებებით, წარმოადგენს კონსტანტინოპოლის ხორის მონასტრის ასლს. აფსიდის დეკორაცია კი სავსებით ტრადიციულია („ღვთისმშობელი ანგელოზებით“ კონქში, „ეკჟარისტია“, „მღვდელმთავრების მსახურება“) ბიზანტიური ტაძრებისათვის. ამგვარი კატეგორიული დამოკიდებულება, ვფიქრობ, გაუმართლებელია, რადგან ლიხნის ღვთისმშობლის მიძინების სახელობის

ტაძარი მეტად გამორჩეული ძეგლია და ერთმნიშვნელოვან სტილისტურ მახასიათებლებს აქ არ ვხვდებით.

ორიოდე სიტყვით ლიხნის ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძრის ამჟამინდელი მდგომარეობის შესახებ: ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით (ICOM რუსეთის მიერ 2011 წელს აფხაზეთში განხორციელებული მისიის ანგარიში) დგინდება, რომ ძეგლი ჩასმული იყო საკონსერვაციო პერანგში (ტაბ. 26); იქედან გამომდინარე, რომ გუმბათის ჭერი ჟონავს, მოხატულობის ის მცირე ფრაგმენტებიც კი, რომლებმაც ჩვენამდე მოაღწია, ავარიულ მდგომარეობაშია; კედლის ქვედა იარუსებსა და სვეტებზე წარწერები წარხოცილია; გუმბათის მხატვრობაში შეინიშნება ბათქაშის ფენის ჩამოშლა; ბევრგან მოდებულია ობი და გაჩენილია სოკოვანი გამონაზარდები (ტაბ. 27, ტაბ. 28); თანდათან იკარგება ფრესკების ფერადოვნება და ცვივა უშუალოდ მოხატულობის შემცველი ფრაგმენტები; სვეტებზე, უფრო კონკრეტულად კი, სამხრეთ-აღმოსავლეთ სვეტზე 2.5 მეტრის სიმაღლის ზემოთ, სვეტის ყველა მხარე ძლიერაა დაზიანებული, ბათქაშის ფენა მთლიანად გაჟღენთილია მარილით, რის შედეგადაც ბათქაში ცვივა - აქ მხატვრობის ფენა მთლიანად წარხოცილია.⁸

⁸ ОТЧЕТ О МИССИИ ИКОМ РОССИИ В РЕСПУБЛИКЕ АБХАЗИЯ
31 октября – 5 ноября 2011 года
В рамках Культурного сезона «Россия-Абхазия», Москва, 2011

I.III. ზარზმის ფერიცვალების სახელობის ტაძარი

ზარზმის მონასტერი მდებარეობს ისტორიულ სამცხე-ჯავახეთში, ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ზარზმაში, მდინარე ქვაბლიანის ხეობაში. კომპლექსი რამდენიმე ნაგებობისაგან შედგება: ფერიცვალების სახელობის ტაძარი (ტაბ. 29), სამრეკლო, მცირე სამლოცველოები. ზარზმის მონასტერი მნიშვნელოვან კულტურულ-საგანმანათლებლო კერას წარმოადგენდა. აქ მოღვაწეობდნენ ისეთი ცნობილი მწიგნობრები, როგორებიც იყვნენ: გერმანე ზარზმელი, ბენედიქტე ზარზმელი და სხვ.

მონასტრის დაარსების დროის შესახებ სხვადასხვა მოსაზრება არსებობს. თავდაპირველად იგი VIII-IX საუკუნეებში დაუარსებია ფეოდალური ხანის ცნობილ სასულიერო მოღვაწე სერაპიონ ზარზმელს, წარმოშობით კლარჯს, რომლის ცხოვრებაც აღწერილია ბასილი ზარზმელის ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში, საიდანაც ვიგებთ, რომ ეკლესიის ადგილის შერჩევის შემდეგ სერაპიონმა და მისმა ძმამ “დადვეს საფუძველი”. ნაწარმოების მიხედვით, სერაპიონს მტრულად შეხვდნენ მახლობელი დაბის მცხოვრებნი და მის გაძევებას მოითხოვდნენ, მაგრამ მან ადგილობრივ მოსახლეობას სასწაული მოუვლინა: ერთ დღეს გასკდა კლდე და წამოვიდა ნიაღვარი, რომელმაც თითქმის მთელი სოფელი წალეკა. ამიტომაც *„ქროდა ზარზმა, რომელი ზართა და მიშითა მოუთხრობელითა შეპყრობილ იყვნეს“*. მონასტრის დაარსების დროის შესახებ სხვადასხვა მოსაზრება არსებობს. ტაძრის აღმშენებლობაში სერაპიონს დახმარებია ადგილობრივი მთავარი გიორგი ჩორჩანელი. მას მონასტრისთვის სოფლები და მამულები შეუწირავს. უძველეს ეკლესიას, რომელიც ხუროთმოძღვარ გარბანელს აუშენებია, ჩვენამდე არ მოუღწევია. ის ტაძარი, რომელიც ამჟამად მოგვეპოვება, აგებულია XIV საუკუნეში სამცხის მთავრის, ბექა მანდატურთუხუცესის, დროს.

ცენტრალური ტაძარი თლილი ქვით ნაგები გუმბათიანი ნაგებობაა (ტაბ. 30) ორი თავისუფლად მდგომი გუმბათქვეშა ბოძითა და ერთი აფსიდით, რომელიც სწორკუთხედის ფარგლებშია ჩაწერილი. ზარზმას მსუბუქი პროპორციები და დამახასიათებელი ელემენტი აქვს. ყურადღებას იპყრობს ლამაზი სტოა-კარიბჭე მისი სამი ღია თაღით შესასვლელის წინ, რომელსაც ძირითადი კორპუსის მთელი

სამხრეთის მხარე აქვს დაკავებული. შიდა სივრცე ჯვრის ოთხი მკლავისა და მათ შუა აღმართული გუმბათისგანაა მიღებული.

ტაძრის მოხატულობამ ჩვენამდე საკმაოდ კარგად მოაღწია. ფრესკები რესტავრირებულია მეოცე საუკუნის დასაწყისში რუს მხატვარ-რესტავრატორ ანდრეი სლავცევის მიერ. იმავდროულად მიმდინარეობდა ფრესკული წარწერების სარესტავრაციო სამუშაოები ექვთიმე თაყაიშვილის ხელმძღვანელობით. სწორედ მან გამოაქვეყნა პირველად ძეგლის პალეოგრაფიული ანალიზი, რომელსაც ახლავს ზარზმის მოხატულობის აღწერილობა.⁹ ეს ნაშრომი იმითაცაა უნიკალური, რომ მეცნიერი თავად ესწრებოდა ფრესკების სარესტავრაციო სამუშაოებს.

მოხატულობის აღწერილობა: გუმბათში, ყვითელ ფონზე, მოცემულია ცისარტყელაზე დაბრძანებული მაცხოვრის გრანდიოზული ფიგურა მაკურთხებელი მარჯვენით (ტაბ. 31); უფრო ქვემოთ - ექვსი მფრინავი ანგელოზი ცის კამარის ცისფერ ფონზე. გუმბათის ექვს სარკმელს შორის, მთელ სიმაღლეში წარმოდგენილია ექვსი ფიგურა - ორანტის ტიპის ღვთისმშობელი; მის მარჯვნივ - დავით წინასწარმეტყველი, მარცხნივ კი - სოლომონ წინასწარმეტყველი (თითოეულს ახლავს წარწერა). მეფენი მდიდრულ სამეფო შესამოსელში არიან გამოწყობილნი და ოქროსა და ძვირფასი ქვებით მოოჭვილი გვირგვინები ადგათ. შემდეგ მოდის იონა, ამბაკუმ და ესაია წინასწარმეტყველთა გამოსახულებანი. გუმბათის აფრებზე მახარებელთა ოთხი გამოსახულებაა მოცემული - აღმოსავლეთით - იოანე და მათე, ხოლო დასავლეთ ნაწილში - მარკოზი და ლუკა.

საკურთხევლის აფსიდს ამშვენებს ღვთისმშობლისა და მის წიაღში მყოფი ჩვილელი მაცხოვრის გამოსახულება (ტაბ. 32). საკურთხევლის აფსიდის ქვედა რეგისტრში წარმოდგენილია ზიარების ერთი, მაგრამ პირობითად ორი ნაწილისგან შემდგარი კომპოზიცია იქეთ-აქეთ მოციქულთა 6-6 ფიგურით (ტაბ. 33) - ერთ მხარეს მაცხოვარი მოწაფეებს ღვინით აზიარებს, ხოლო მეორე მხარეს - პურით. ორივე მხარეს მოცემულია შესაბამისი წარწერები. მარჯვნივ - „*მიდეთ და [სჭამეთ ესე არს ხორცი ჩ~მი თქნთვის განტეხილი მისატევებელად ცოდვათა*“; მარცხნივ - „*სოჯთ. ამისგან. ყოველთა ესე არს: სისხლი. ჩემი ახლისა აღთქმისა და თ[ქვენთვის] და მრავალთა [თვის დანთხეული*

⁹ Такаишвили Э., Сборникъ Материаловъ для Описанія М стностей и племень Кавказа, Выпускъ 35, Тифлисъ, 1905, გვ. 57-დან

მისატევებულად ცოდვათა/“ (მათე. 26,26:28). მოციქულთა მარჯვნივ გედეონის გამოსახულებაა, მარცხენა მხარეს კი - ეზეკიელ და დანიელ წინასწარმეტყველების. გარდა ამისა, უხვად გვაქვს მღვდელმთავართა, ეკლესიის მამათა (ბასილი დიდი, გრიგოლ ღვთისმეტყველი, დიონისე არიოპაგელი; წმიდა ევსტათი, წმიდა სპირიდონი) თუ ძველი და ახალი აღთქმის პერსონაჟთა გამოსახულებები.

აფსიდის ჩრდილოეთ მხარეს მოცემულია ღვთისმშობლის წინასახე - კიბე იაკობის სიზმრიდან. ფრესკაზე იაკობი გვევლინება ახალგაზრდა მწყემსად, რომელსაც მარჯვენა ხელში კომბალი უპყრია. მას სძინავს და მარცხენა ხელი თავის ქვეშ აქვს ამოდებული. იაკობის თავზე გამოსახულია ორი მფრინავი ანგელოზი, მათ უკან კი ვხედავთ უშუალოდ კიბეს, რომელიც ცას ებჯინება, იქიდან კი ანგელოზები მიწაზე ეშვებიან. ამ კომპოზიციის თავზე გვაქვს ღვთისმშობლის კიდევ ერთი ძველადღაღმისეული სიმბოლო - „შეუწველი მაყვლოვანი“ მოსე წინასწარმეტყველთან ერთად. ცეცხლოვანი ბუჩქის თავზე მოცემულია მაცხოვრი, ხოლო ცენტრში - ღვთისმშობელი მედალიონში. მარცხნივ ისევ მოსეს ფიგურაა, ამჯერად წინასწარმეტყველი ფეხშიშველია და ბუჩქთან მიახლოებას ცდილობს.

ჩრდილოეთი კედლის ჩრდილოეთი სარკმლის ზემოთ წარმოდგენილია ღვთისმშობლის შობის კომპოზიცია, რომელიც რამდენიმე ციკლისაგან შედგება: წითელ შესამოსელში გამოწყობილი წმიდა ანა, რომელსაც მსახური ქალები წყალს აწვდიან და მისი ხელი უჭირავთ...ქვემოთ მსახურის მიერ ახალშობილის განბანვაა მოცემული (ტაბ. 34) უფრო ქვემოთ - აკვანი, შორს განირჩევა წმიდა იოაკიმეს ფიგურა; გვაქვს, ასევე, იოაკიმეს და ანას მიერ ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების ამსახველი ფრესკები. ჩვენი ნაშრომის ფარგლებში ხაზგასასმელია ამ სქემის ერთი კონკრეტული გამოსახულება, რომელზედაც დედა ღვთისას წმიდა იოსებზე დაწინდა ანუ „მითვალვად იოსებისგანა“ წარმოდგენილი: მღვდელმთავარს მარიამის თავზე იოსების განედლებული კვერთხი უჭირავს. როგორც ვიცით, აარონის აყვავებული კვერთხი არის ღვთისმშობლის ბიბლიური წინასახე. გარდა ამისა, არსებობს კიდევ ერთი თეორია, თუ რატომ უკავშირდება კვერთხის სიმბოლიკა მარიამს - მის მეუღლედ იოსები ზუსტად იმავე რიტუალის შედეგად შეირჩა, როგორც ძველი აღთქმის აარონთან დაკავშირებულ

ეპიზოდშია მოცემული - ორივე შემთხვევაში ღმრთისგან რჩეულობის ნიშანი კვერთხის „განედლება“ იყო.

ტაძრის მხატვრობის ზოგად ანალიზს თუ გავაკეთებთ, მივალთ იმ დასკვნამდე, რომ აქ თამარის ეპოქის შესატყვისი და ტრადიციული სქემაა წარმოდგენილი - ღვთისმშობელი საკურთხეველის აფსიდში, ევქარისტული სიუჟეტით, ეპისკოპოსებისა და დიაკვნების გარემოცვაში; გუმბათში - ყოვლისმპყრობელი უფალი ანგელოზებით, მახარებლებითა და წინასწარმეტყველებით; ჩრდილოეთ და სამხრეთ კედლებზე - სახარებისეული სცენები, ბურჯებსა და თაღებზე კი - სხვადასხვა წმინდანის გამოსახულებები.

ტაძრის ბემის სამხრეთის თაღზე წარმოდგენილია ორი კომპოზიცია სახელწოდებებით: 1. „სიბრძნემან იშენა თავისა თვისისა სახლი“ (სოლომონის იგავ. 9,1,2) და 2. „კარავი“. ორივე შემთხვევაში სახელწოდებები აღებულია კომპოზიციის წარწერებიდან. მკვლევარი ლ. ევსეევა კარვის კომპოზიციას აძლევს პირობით სახელწოდებას „ქრისტეს ლიტურგია კარავში.“¹⁰ ორივე გამოსახულება, იკონოგრაფიული თვალსაზრისით, უნიკალურია.

კომპოზიციაში „სიბრძნემან იშენა თავისა თვისისა სახლი“- ახალი მხატვრობა იმეორებს ძველს. (ტაბ. 29) კომპოზიციის მარცხენა ნაწილში გამოსახულია ტაძარი სვეტებით, მაგიდა გრაგნილებით, მაგიდის მარცხენა მხარეს - ორი ფიგურაა. კომპოზიციის ეს ნაწილი საკმაოდ კარგადაა შემონახული. მარჯვენა ნაწილი კი ჩამორეცხილია და შემორჩენილია მხოლოდ ნახატი კონტურის სახით. თუმცა, მაინც კარგად იკვეთება მჯდომარე სამსახოვანი გამოსახულება ერთი რომბისებრი შარავანდით. სახეები ცოცხალი და ახალგაზრდულია. ფიგურა ანგელოზისა უნდა იყოს. ფრთები მჯდომარე ფიგურის ზურგს უკან არ ჩანს, თუმცა, შესაძლოა, ყოფილიყო, რადგან განირჩევა მკვეთრი ხაზი, რომელიც კვეთს ანგელოზთან ახლომდებარე სვეტს. ე. თაყაიშვილი ზარზმის ფრესკების აღწერილობაში, რომელიც მეცნიერის მიერ სარესტავრაციო სამუშაოების მიმდინარეობის დროსაა გაკეთებული, ამ დეტალზე ყურადღებას არ ამახვილებს და სამსახოვან ანგელოზს ასე მოიხსენიებს:

¹⁰ Евсева Л.М., Две символические композиции в росписи XIV в. Монастыря Зарзма, Византийский временник, том 43, гв. 134

„უფალი სამ სახეში“. სიბრძნის გამოსახულება დატვირთულია სამების იკონოგრაფიით, რომელიც ამ შემთხვევაში საკმაოდ იშვიათი წყობით გვესახება. ამ იკონოგრაფიული სირთულის ახსნას ვხვდებით საღმრთო სიბრძნის იმ ახლებურ წარმოდგენებში, რომლებიც ფორმირებულია XIV საუკუნის ბიზანტიაში. სიბრძნის სიმბოლური გამოსახულებების უმეტესი წილი სწორედ ამ პერიოდზე მოდის, მაგალითად, ათონის მთის ქილენდარის მონასტერში მოცემულია სამთავიანი ანგელოზი, გამოსახულება XIV საუკუნით თარიღდება (ტაბ. 36); ოქრიდის XII საუკუნის ღვთისმშობლის სახელობის ტაძარში ნაბუქოდონოსორის სიზმრის ამსახველ კომპოზიციაში, ასევე, წარმოდგენილია სამთავიანი ანგელოზი (ტაბ. 37)

ზარზმის კომპოზიცია „სიბრძნემან იშენა თავისა თვისისა სახლი“, რომელიც ბემის სამხრეთ კამარაზეა განთავსებული, თავისი ადგილმდებარეობით გაერთიანებულია ჩვენთვის საინტერესო კომპოზიციასთან „ქრისტეს ლიტურგია კარავში“ (ტაბ. 38). ექვთიმე თაყაიშვილის აღწერილობის მიხედვით, კომპოზიციაში წარმოდგენილია ევქარისტის სცენა - ქრისტე, როგორც მღვდელმთავარი, ატარებს ლიტურგიას; წინკარის ქვემოთ მოჩანს ტახტი, სადაც განლაგებულია სასმისი, პური და ჯვარი. აქ ვხვდებით კარვის კიდევ ერთ ატრიბუტს, შვიდსანთლიან შანდალს, რომლის ზედა მხარეს, აქეთ-იქეთ, გამოსახულია ანგელოზები. ფრესკის აღწერილობაში ე. თაყაიშვილი განსაკუთრებით გამოყოფს ქრისტეს ჯვრიან შარავანდს და ომოფორს, რომელიც ზოგადად ბიბლიური პირველი მღვდლის, აარონის სამოსელის მსგავსია. ამ გამოსახულების აღწერილობასთან მიმართებაში არსებობს მეორე მოსაზრებაც, მაგალითად, რუსი ხელოვნებათმცოდნე ნიკოლაი სიჩევის აზრით, კარავში უნდა ვივარაუდოთ, არა მაცხოვრის, არამედ მღვდელმთავარ აარონის გამოსახულება. თუმცა, აღსანიშნავია, რომ აარონის ფიგურას ვხედავთ იქვე, ჩვენთვის საინტერესო კომპოზიციის სიახლოვეს - საკურთხეველისწინა თაღის სამხრეთ კამარაზე. რესტავრაციამდელ ფოტოზე, რომლის კადრშიც კომპოზიცია მხოლოდ ორი მესამედითაა წარმოდგენილი, ფიგურები არ ჩანს, თუმცა, კარგად იკვეთება მთავარი დეტალი - ჯვრიანი შარავანდის ნაწილი. ქრისტეს სამოსელი მხოლოდ შორიდან მოგვაგონებს საეპისკოპოსო საკოსს, თუმცა, ეს მაინც ფართო, თავისუფალი სამოსელია და არა აარონის ტანზე მომდგარი პოდირი და არც მოსეს ლაზადა.

გარდა ამისა, თვით კარვის გამოსახულებაც, რომლის მარცხენა ნახევარი კარგადაა შემონახული, უჩვეულოა მოცემული პერიოდისათვის. მისი ნახევარსფერო ნათლით და ბრწყინვალეობითაა გარემოცული, რაც „აღთქმის კარვის“ არც ერთ სხვა გამოსახულებაში არ გვხვდება. ქერუბიმები კარვის სხვა გამოსახულებებში ტახტის ზემოთ დაფრინავენ. ზარზმის კომპოზიციაში კი ქერუბიმები დგანან, მათი გამოსახულებების ზომები თითქმის მიახლოებულია ცენტრალური ფიგურის ზომასთან და ლიტურგიის აღვლენისას, მათ თითქოს დიაკვნების ადგილი უჭირავთ¹¹ ყოველივე ეს გვაფიქრებინებს, რომ ჩვენ წინაშეა XIV საუკუნის იშვიათი სიმბოლიური კომპოზიცია - „ქრისტეს საღვთო ლიტურგია კარავში“. მისი შინაარსი ნათელია: ის შეესაბამება იმ სახეს, რომელიც გადმოცულია პავლე მოციქულის ეპისტოლეში ებრაელთა მიმართ: „ და არის მსახური წმიდათა და ჭემმარიტ კარვისა, რომელიც ააშენა უფალმა...“ (ებრ.8.2) და ამასთან: „ქრისტე შევიდა არა ხელთქმნილ, ესე იგი ჭემმარიტის ხატად შექმნილ საკურთხეველში, არამედ ცაში, რათა სჩვენებოდა სახეს ღმრთისას ჩვენთვის“ (ებრ.9.24)

ზოგადად, ბიზანტიური ხელოვნების ყველაზე ადრეულ პერიოდში ვხვდებით ხლუდოვის ბერძნული ფსალმუნის (დაახ. 840-850 წწ.) შესატყვის ილუსტრაციას, სადაც დავით წინასწარმეტყველი მაცხოვრის ძველაღთქმისეულ, მელქისედეკის წესგანგებულებით მღვდლობას უსვამს ხაზს: „ ფუცა უფალმან და არა შეინანოს: შენ ხარ მღვდელ უკუნისამდე წესსა მას მელქისედეკისასა“ (ფს. 109.4).

ზეციური კარვის სახე, როგორც სახე მომავალი საუკუნისა, განსაკუთრებით გავრცელებული იყო ქრისტიანულ-ისიხასტურ ლიტერატურაში ისიხასტ მამათათვის დამახასიათებელი ჭვრეტითა და წინასწარმეტყველებით. მაგალითად, XIV საუკუნის ცნობილი სასულიერო მოღვაწე გრიგოლ სინელი თავის მოწაფე ლუკასათვის დაწერილ გონიერი, ანუ შინაგანი ლოცვის ტრაქტატში აღწერს ზეციურ სამეფოს, რომელიც მას წარმოუდგენია მოსეს მიერ ღვთის ბრძანებით აგებული კარვის მსგავსად. ისევე, როგორც ებრაელები აღთქმულ ქვეყანაში უნდა შესულიყვნენ ძველი აღთქმის მოძრავ კარავში აღვლენილი, ღმერთისთვის შეწირული ლოცვებით, ასევე, განუწყვეტლივ უფალზე ფიქრითა და ახალი აღთქმის უძრავ ტაძრებში გონებამოკრეფილი ლოცვებითაა შესაძლებელი ზეციური სამეფოს დამკვიდრება. წმ. გრიგოლ სინელი

¹¹ Евсеєва Л. (დასახელებული ნარკვევი) გვ. 144

აღწერს, თუ ვინ შევა კარვის პირველ ნაწილში და ვინ - მეორეში. წმინდა მამის მიხედვით, პირველ კარავში შევა განსაკუთრებული ღვთის ძალის მქონე, ყველა მადლმოსილი მღვდელმსახური, მეორეში კი შევლენ მხოლოდ ისინი, ვინც, ირგვლივ გავრცელებული სიბნელის მიუხედავად, სრულფასოვნად მოღვაწეობდნენ და რომლებსაც მღვდელმთავრად ყოველთვის ჰყავდათ ქრისტე.

როგორც ვიხილეთ, ზარზმის კარვის კომპოზიციაში შერწყმულია ორი იკონოგრაფიული თემა: სიმბოლური და კონკრეტული. კონკრეტულად ვხედავთ ძღვენის შეწირვის ლოცვების ამსახველ ეპიზოდს. კომპოზიციაში ქრისტე ეპისკოპოსის სამოსელში იმავე სახითაა გამოსახული, როგორც - ბასილი დიდი ობრიდის ფრესკაში. მაცხოვრის წინ, ტრაპეზზე, განლაგებულია ლიტურგიის ატრიბუტები - პური, სასმისი და ჯვარი. სცენა მიგვანიშნებს იმ განსაკუთრებულ ლოცვით მდგომარეობაზე, რომელიც წინ უძღვის ძღვენის კურთხევას. კარვის გამოსახულება გვიჩვენებს ქრისტეს მღვდლობას, მსხვერპლშეწირვის პროცესს და, იმავდროულად, შეიცავს ყველაზე ღრმა და საიდუმლო აზრს - ლიტურგიას აღვლენს ქრისტე, ის ლოცულობს ღვთისადმი და ძღვენიც მის სისხლსა და ხორცში იკურთხება - ამდენად, ჩვენს წინაშეა „შემწირველი და შეწირულის“ სახე. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, იმიტომ რომ პირდაპირ უკავშირდება ქრისტეს ორბუნოვნების საკითხს, რაზედაც პოლემიკა შუა საუკუნეებშიც მიმდინარებდა. საქართველოს შემთხვევაში პოლემიკას ადგილი ჰქონდა მონოფიზიტურ სომხეთთან. ყოველივე ზემოთქმული დაკავშირებულია ღვთისმშობელთანაც - მისი მედალიონში ჩასმული გამოსახულება ამ ორ კომპოზიციას აერთიანებს და თითქოს კრავს. რადგან მასში განსხეულდა „ერთარსი სამება“, ანუ იგი ერთგვარი გამტარი, ღვთიური სიტყვის საკუთარ თავში დამტევია.

ამრიგად, ზარზმის კიდობნის კომპოზიცია ერთ-ერთი ვარიანტია XIV საუკუნის მონუმენტურ ხელოვნებაში ფართოდ გავრცელებული „ზეციური ლიტურგიის“ თემისა, რომელმაც თავისი გავლენა იქონია ზარზმის იკონოგრაფიულ წყობაზე. ამასთანავე, კარავში მოცემულია ყველა შესაბამისი ატრიბუტი და იგი აქაც (ისევე, როგორც ყველა ზემოგანხილულ ძეგლში) სიმბოლურად დედა ღვთისას - ღვთიური სიტყვის საკუთარ წიაღში დამტევს - უკავშირდება.

ამრიგად, ჩვენ მიერ განხილულ ამ სამ ტაძარში მოხატულობა ხაზს უსვამს და წინ წამოწევს ღვთისმშობლის თემას. მოცემული გვაქვს მარიამის ისეთი ძველადთქმისეული სახე-სიმბოლოები და წინასახეები, როგორცაა: კიბე, შეუწველი მაცვლოვანი, მთა, დახშული ბჭე და სხვ. ყველაზე მთავარი კი ისაა, რომ სამივე ტაძარში, გარკვეული სახესხვაობებით, მოცემულია კარავი, მასში საყდარზე დაბრძანებული კიდობანი, ჭურჭელი მანანათი და შვიდსანთლიანი სასანთლე.

თავი II

„სიბრძნის კიდობნისა“ და ღვთისმშობლის სიმბოლოთა იკონოგრაფია და საღვთისმეტყველო საზრისი

ტერმინი „სიმბოლო“ (ბერძ. Σύμβολον) ბერძნული სიტყვიდან მომდინარეობს და ნიშნავს ნიშანს, პაროლს, სიგნალს. თავად სიტყვის ეტიმოლოგია მიანიშნებს სიმბოლოს მრავალპლანიანობაზე - ერთი მხრივ, მას გააჩნია თავისთავადი მნიშვნელობა, რომელსაც ჩვენ ვხედავთ და აღვიქვამთ, ხოლო მეორე მხრივ, იგი წარმოადგენს ფართო ასპარეზს ცნობიერებაში წარმოქმნილი ასოციაციებისთვის, იმავე საგნის სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციებისთვის. შეიძლება ითქვას, რომ საგნის სიმბოლო არის მისი ანარეკლი მოცემულ, კონკრეტულ მდგომარეობაში, მაგრამ მასში დევს უფრო მეტი, ადამიანის თვალისთვის დაფარული.

სიმბოლოს უდიდესი როლი უჭირავს ხელოვნებაშიც. იგი კულტურასთან ერთად, მის წიაღში ვითარდებოდა. შუა საუკუნეებში მცხოვრები ადამიანის მსოფლალქმა მეტწილად ეყრდნობოდა სიმბოლოებს, იქნებოდა ეს რელიგიური თუ მითოლოგიური სიმბოლოები. სიმბოლოს აზრობრივი სტრუქტურა მრავალშრიანი და, ხშირ შემთხვევაში, აღმქმელის ცნობიერების აქტიურ მუშაობაზეა დამოკიდებული - რამდენად ღრმად ძალუმს მას, ჩაწვდეს სიმბოლოს არსს. აქედან გამომდინარე, ყოველგვარი სიმბოლოსგან თავისუფალი მხატვრული სახე არ არსებობს. ნებისმიერი ხელოვნება, ყველაზე რეალისტურიც კი, არ იქნება სრული სიმბოლური სახეების გარეშე, მნახველის მხრიდან მათი კონსტრუირების შესაძლებლობის გარეშე. ჯერ კიდევ ემანუელ კანტი, განმანათლებლობის ეპოქის ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი წარმომადგენელი, ამტკიცებდა, რომ ხელოვნება ინტუიტიურ ხასიათს ატარებს და, შესაბამისად, მეტად სიმბოლურია. მოგვიანებით, XX საუკუნეში, გერმანელმა ფილოსოფოსმა, კულტუროლოგმა და ნეოკანტიზმის მიმდევარმა ერნსტ კასირერმა განაზოგადა სიტყვა „სიმბოლოს“ ცნება და შემოიტანა „სიმბოლისტური ფორმების“ გაგება. „სიმბოლისტურ ფორმებად“ იგი მიიჩნევდა ისეთ კულტურულ მოვლენებს, როგორცაა: ენა, მითი, რელიგია, ხელოვნება და მეცნიერებაც კი - სწორედ მათი მეშვეობით აწესრიგებს ადამიანი მის ირგვლივ გამეფებულ ქაოსს.

სათქმელის სიმბოლოურად გამოხატვას ეფუძნება წმიდა წერილი. ძველი აღთქმა არის ახალი აღთქმის მოვლენათა წინასწარგანჭვრეტა და სიმბოლოური მეტყველება. კარვისა და კიდობნის, ისევე, როგორც ღვთისმშობლის სხვა სიმბოლოებთან მიმართებაშიც ამ მოვლენასთან გვაქვს საქმე - ძველი აღთქმის ეპიზოდებში არაერთხელაა განცხადებული მესიანისტური იდეა, რომლის მთავარ საყრდენს წარმოადგენს სწავლება დედა ღმრთისას წიაღიდან კაცობრიობის მხსნელის გამოსვლის შესახებ.

ებრაელი ხალხისთვის ყველაზე დიდ სიწმინდეს სჯულის კარავი წარმოადგენდა. ამ სიწმინდის აღმნიშვნელი ბერძნული შესატყვისი სიტყვაა - σκηνή („სკენე“), ხოლო ძველებრაული - („მიშკან“), რაც სამკვიდრებელს, ადგილსამყოფელს ნიშნავს. რჯულის კარავი, ბიბლიის მიხედვით, წარმოადგენდა ებრაელთა მოძრავ ტაძარს, ადგილს, სადაც აღესრულებოდა ღვთისმსახურება იერუსალიმის ტაძრის აგებამდე. წმინდა წერილის თანახმად, იგი მოსემ ღმერთის უშუალო მითითებებით ააგო, ეს მითითებები კი მან სინას მთაზე ყოფნისას მიიღო სჯულის ფილებთან ერთად. ფაქტობრივად, სჯულის კარავი იყო ის ადგილი, სადაც სუფევდა ღვთიური სიტყვა, ღვთიური მადლი კაცთა შორის. სწორედ წმინდა კარვის ყველაზე მნიშვნელოვან სიწმინდეს, მის არსს წარმოადგენდა „სიბრძნის კიდობანი“.

„გამოსვლათა წიგნის“ დიდი ნაწილი ეთმობა წმინდა კარვის მშენებლობის, ღმერთის მიერ დაწვრილებით გაცემული ბრძანებებისა და თავად კარვის კონსტრუქციის აღწერას:

„და იტყოდა უფალი მოსეს მიმართ მეტყუელი: არქუთ ძეთა ისრაჴლისათა და მიიხუენით ჩემთჳს დასაბამნი ყოველთაგან ნაყოფთა, რომელთაცა სთნდეს გულსა, მიიხუენით დასაბამნი ჩემთჳს. და ესე არს ნაყოფი, რომელი მიიღო მათგან: ოქროჲ, ვეცხლი, რვალი, ჯაკინთი, პორფირი, მოწეული ორკეცი, და ბისონი ძახილი და ბალანი თხათაჲ, და ტყავნი მეწამულ-ქმნილნი და ტყავნი ჯაკინთინი და შეშანი ულპოლველნი, ზეთი და სასაკუმეველე, ნელსაცხებელი და საკუმეველი, და ქვანი სარდიონნი და ქვანი საწახნაგებელნი სამჯართათჳს და პოდირისაჲ. და მიქმნე მე სიწმიდე და გეჩუენებოდი თქუენ შორის.“ (გამ. 25: 1-8).

ზოგადად, იუდაიზმში არსებობს ორი ძირითადი მოსაზრება იმის შესახებ, თუ რატომ გახდა აუცილებელი სჯულის კარვის, ანუ ებრაელთა მოძრავი ტაძრის აგება. ერთი მხრივ, ეს იყო ერთგვარი ღვთიური დაშვება, მეორე მხრივ კი - ღმერთის ნების უმაღლესი გამოვლინება. აზრთა სხვადასხვაობა არსებობს კიდობნისა და კარვის აგების შესახებ მოსესათვის მიცემული მითითებების პირობით დათარიღებასთან დაკავშირებითაც: ერთი ვერსიის თანახმად, მცნება რჯულის კიდობნის აგების შესახებ ებრაელთა სჯულმდებელმა ებრაელი ხალხისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი დღესასწაულის, „იომ-ქიფურის, ანუ მიტევების, გამოსყიდვის დღეს მიიღო. ეს ის დღეა, როდესაც მამაზეციერმა ებრაელებს „ოქროს ხარის“ ცოდვა მიუტევა - გამოსვლათა წიგნის თანახმად, როდესაც მოსე წინასწარმეტყველი სინას მთაზე იყო განმარტოებული, უდაბნოში მრავალწლიანი ხეტიალით გასავათებულმა ერმა უკმაყოფილების გამოთქმა და აჯანყებები დაიწყო. ისინი ღმერთის არსებობის რაიმე მატერიალურ დამამტკიცებელს მოითხოვდნენ. ებრაელთა შტოების წარმომადგენლებმა აარონ მღვდელმთავარს მიმართეს, რათა მას ღმერთის ამქვეყნიური სახე, ერთგვარი ნივთმტკიცება წარედგინა აჯანყებულთათვის. მაშინ აარონი დაჰყვა ხალხის ნებას, ოქროს ნივთებისა და სამკაულების შეგროვება დაიწყო და შეწირული ძვირფასეულობისაგან ჩამოასხა ხბო (გამ. 32: 1-4). ამგვარი ქმედება კერპთაყვანისმცემლობის გამოვლენა იყო. აღნიშნული კერპის წინასახედ ძველ ეგვიპტური ღვთაება აპისი მოიაზრება, რომელსაც წმინდა ხბოს ფიგურით გამოსახავდნენ. ამ ცოდვას მოყვა მოსე წინასწარმეტყველის რისხვა - გადმოცემის თანახმად, ებრაელთა სჯულმდებელმა, იხილა რა კერპის ირგვლივ შეყრილი ხალხი, დაწვა ხარის ფორმის მქონე მონუმენტი, ხოლო ნაცარი წყალში გახსნა და ხალხს დააღვინა. გარდა ამისა, მან ამბოხის მცდელობა სისხლში ჩაახშო, რასაც 3000-მდე ადამიანი ემსხვერპლა.¹² სწორედ ამ შემთხვევის მერე გახდა აუცილებელი სალოცავის აგება, სადაც ღვთიური სიტყვა დაივანებდა. მანამდე იგი ხალხთა შორის იყო მოფენილი და, შესაბამისად, კონკრეტული ადგილის შექმნის აუცილებლობა არ არსებობდა.

¹² Еврейская энциклопедия Брокгауза и Ефрона. — СПб., 1908—1913

მეორე ვარაუდის მიხედვით, სჯულის კარვის აგების ბრძანება მოსემ სინას მთაზე ყოფნისას მიიღო. აღნიშნული თეორია ეყრდნობა იმას, რომ კარვის შექმნა ღვთიური ნების გამოვლინებაა, ხოლო თავად ეს ადგილი - ცისა და მიწის ხილული მაკავშირებელი. ამასთან ერთად, ებრაელი წინასწარმეტყველნი არაერთხელ უსვამდნენ ხაზს, რომ ამქვეყნიური ტაძარი და თაყვანსაცემი ადგილი უმნიშვნელოვანესი და საჭიროა, პირველ რიგში, მორწმუნეთათვის და არა უფლისთვის. სჯულის კარავში დაბრძანებული სიწმინდეები საკუთარ თავში მოიცავდნენ კოსმოსს - ეს ადგილი იყო ერთგვარი ცათა კარიბჭე.

„წმიდა კარვის“ ფუნქციები და დატვირთვა: წმიდა წერილის მიხედვით, კარავს გააჩნდა რამდენიმე წამყვანი ფუნქცია. პირველ რიგში ეს იყო, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ისრაელის ხალხთა შორის ღვთიური მადლის, წყალობის დავანების ადგილი. ამავე დროს - ღვთისმსახურებისა და მსხვერპლშეწირვის ადგილი, სადაც თითოეულ მორწმუნეს უფალთან მიახლოება შეეძლო. გარდა ამისა, აქ თავს იყრიდნენ ებრაელ შტოთა წარმომადგენელნი, რათა გადაეწყვიტათ ერისათვის უმნიშვნელოვანესი საკითხები. და, რაც მთავარია, აქ ინახებოდა ყველაზე მთავარი ეროვნული სიწმინდე - „სიბრძნის კიდობანი“ ყველა მისი ელემენტითურთ.

კარავი უდაბნოში გადაადგილებისას მუდამ ებრაელებთან ერთად მოგზაურობდა (ტაბ. 39). არსებობდა მისი გადაადგილების გარკვეული წესი. ასე მაგალითად, მას, როგორც მოძრავ ტაძარს, მხრებზე გადააბრძანებდნენ (ტაბ. 40). დაბანაკებისას კარავი მუდამ ცენტრში თავსდებოდა, ირგვლივ კი, უფლისაგან მიღებული მითითებების თანახმად, კარვებს შლიდნენ ჯერ ლევიტელთა შტოს წარმომადგენელი მღვდელმსახურნი აარონის თაოსნობით, ხოლო შემდეგ - ებრაელთა 12 შტოს წევრები: *„კაცად-კაცადმან მახლობელად განწესებასა თვისსა მსგასად უწყებასა თვისსა სახლად-სახლად და ტომად-ტომად დაიბანაკონ ძეთა ისრაელისათა წინაშე უფლისა გარემო კარავსა წამებისასა.“*¹³

ბიბლიის თანახმად, კარვის აგების დასრულების დღეს ღმერთი განსხეულდა ღრუბლის სახით და მთელი კარავი მოიცვა. ღვთიური მადლით აღსავსე ნაგებობაში თავად მოსე წინასწარმეტყველმაც კი ვერ შეძლო შესვლა. ამ სასწაულის შემდეგ

¹³ (რიცხუთად, 2:2)

ღრუბელი უფლის მიერ გზის, ებრაელთათვის მიმართულების მომცემ ნიშნად აღიქმებოდა და მიუძღოდა პროცესიას. მისი გამოჩენისთანავე დაბანაკებული ხალხი კვლავ გზას ადგებოდა.¹⁴

აღთქმულ მიწაზე დაბრუნების შემდეგ კარავს და, შესაბამისად, კიდობანსაც, არაერთხელ შეუცვალეს საბრძანებელი ადგილი - თავდაპირველად, ქანაანის დაპყრობის შემდეგ, იგი მდინარე იორდანეს სანაპიროზე მდებარე ქალაქ გილგალში, იერიქონის პირდაპირ არსებულ ტერიტორიაზე განათავსეს. აქედან მან სოლომში გადაინაცვლა, სადაც, გადმოცემის თანახმად, ელია წინასწარმეტყველის გარდაცვალებამდე ინახებოდა ამ დროისათვის კარავი, სავარაუდოდ, უკვე მთლიანად ქვით ნაგებ კონსტრუქციას წარმოადგენდა. ისრაელის მეფე დავით წინასწარმეტყველმა, იერუსალიმის დაპყრობის შემდეგ, უკვე უშუალოდ „აღთქმის კიდობნისათვის“ ახალი ნაგებობა შექმნა და ამით სასულიერო ცენტრის იერუსალიმში გადატანა დაავგვირგვინა.

უმნიშვნელოვანესი მოვლენა, რა თქმა უნდა, იყო სოლომონის ტაძრის აგებაც, რომელიც პირდაპირ უკავშირდება წმიდა კარავს - იგი კარვის პროპორციების გადიდებით, მისი მოდელის მიხედვით აიგო. მოგვიანებით ებრაელები სინაგოგების მშენებლობისას, ამავე სქემას იყენებდნენ. მათ თავიდანვე ყურადღება მიაქციეს კარვის ძველადღთქმისეულ, ღვთისგან ნაკარნახებ ზომებს და ამ ზომების შესატყვის რიცხვობრივ მნიშვნელობებს, ვინაიდან სწორედ ისინი აკავშირებდნენ ზეცასა და დედამიწას ერთმანეთთან. არსი ყოველივე ამისა მდგომარეობდა იმაში, რომ სინაგოგები იყო არა მხოლოდ მიწიერი „წმინდა კარვის“, არამედ მთელი კოსმოსის იმიტაცია. მეცნიერ ჯონ უილკინსონის აზრით, სინაგოგების სწორედ ბიბლიური პროპორციებით აგების მაგალითი უნდა იყოს სინაგოგების ორივე მხარეს მიმართვა, რათა წარმოჩინდეს ღვთისმსახურების ზეციური და მიწიერი ადგილები. გამოანგარიშებისა და პროპორციების გამოთვლის შედეგად გაირკვა, რომ წმინდა ტაძრის აბსოლუტური სიგრძე არის 100, ხოლო „სიბრძნის კიდობანი“ ემთხვეოდა 25-ს. ამდენად, პროპორცია 25:100 განსაზღვრავდა კიდობნის დაბრძანების ადგილს. მაგრამ ხუროთმოძღვრებს შეეძლოთ, აეღოთ ტაძრის უფრო მოკლე სიგრძე, მაგალითად - 95;

¹⁴ Иллюстрированная полная популярная Библейская энциклопедия – трудъ и издание Архимандрита Никифора, Москва 1891 г. (Репринтное издание, Издательский центр «Терра», Москва, 1990 г., გვ. 656

პროპორცია 25:95, ასევე, განსაზღვრავდა სჯულის კარავში კიდობნის ადგილმდებარეობას.¹⁵

„სიბრძნის კიდობანი“ მისი თითოეული ელემენტით დააბრძანეს სოლომონის ახლადაგებულ ტაძარში. ეს დაახლოებით ძვ.წ. 950 წელს მოხდა. ამის შემდეგ წმიდა კარვისა და კიდობნის კვალი იკარგება. ისინი აღარც წერილობით წყაროებში მოიხსენიება. ერთ-ერთი გადმოცემის თანახმად, კიდობანი სოლომონის ტაძრის მიწისქვეშა საცავში გადამალეს (თალმუდი, სოტა 9ა; თალმუდი, იომა 72ა). რელიგიის ისტორიის მკვლევრის გრემ ჰენკოკის აზრით, კიდობანი ძვ.წ 587 წელს მეფე ნაბუქოდონოსორის მიერ იერუსალიმის აღებამდე გადამალეს მღვდელმთავრებმა, თუმცა მათ სიწმინე არა გარეშე საფრთხეს, არამედ შიდა არეულობებს განარიდეს და გეზი სამხრეთისკენ, ისევ ეგვიპტისაკენ აიღეს, რადგან იცოდნენ, რომ იქ სამშობლოდან გადასახლებული ღვთისმომშიში ებრაელები სახლობდნენ. 1997 წელს პატარა კუნძულ ელეფანტინზე ებრაული ტაძრის ნანგრევები აღმოაჩინეს, რომელიც ამ პერიოდით თარიღდებოდა. იმ დროს ეს იყო ისრაელის ტერიტორიის მიღმა არსებული ერთადერთი ებრაული ტაძარი და შესაძლოა, მისი დანიშნულება სწორედ კიდობნის დაბინავება ყოფილიყო. მიუხედავად იმისა, რომ ტაძარი დაახ. ძვ.წ. 400 წლისათვის განადგურდა, ჰენკოკს მიაჩნია, რომ კიდობანი დანგრევამდე სხვა ადგილას, კერძოდ კი ეთიოპიის ქალაქ აქსუმში გადააბრძანეს, სადაც სიწმინდეს სიონის ღვთისმშობლის სახელობის ტაძრის მღვდლები მფარველობდნენ.¹⁶ საინტერესოა, რომ კიდობნის შემდგომი ისტორიაც კი მის ღვთისმშობელთან კავშირზე მიაწინებს.

სჯულის კარვისა და „სიბრძნის კიდობნის“ სიწმინდეები: სჯულის კარავი ორ ნაწილად იყოფოდა: 1) დიდ ეკლესიად, ე.წ. პირველ კარვად და 2) მცირე ეკლესიად, რომელსაც „წმიდათა წმიდას“ უწოდებდნენ. სწორედ აქ ინახებოდა „აღთქმის კიდობანი“. კარავში განთავსებული იყო აკაცის ხისგან დამზადებული და ოქროთი მოვარაყებული ტრაპეზი და ჭურჭელი წყლით, სავარაუდოდ, მღვდელმსახურთა ხელ-

¹⁵ ჯონ უილკინსონი, რელიგიური არქიტექტურის გეგმარება; თსუ შრომები, ხელოვნებათმცოდნეობა, №5, 2003, გვ.143-186)

¹⁶ Грэм Хэнкок - Ковчег завета, 1999 г.

ფეხის განსაზღვრად. უფრო ღრმად, კრეტსაბმელის ჩრდილოეთით, იდგა ოქროს შვიდტოტიანი სასანთლე (ებრ. „მენორა“ - ლამპარი, გამნათებელი), რომელიც ერთ-ერთი უძველესი ებრაული რელიგიური ატრიბუტია. იგი ფართოდ იყო გავრცელებული რომის იმპერიაშიც დაახ. I საუკუნიდან და სიმბოლურად მესიის, მხსნელის მოლოდინს გამოხატავდა. ამჟამად იგი ისრაელის სახელმწიფო გერბზეა გამოსახული. სჯულის კარავში შვიდსანთელა მთელი ღამე ენთო, თუმცა ძველი ებრაელი ისტორიკოსი იოსებ ფლავიუსი თავის ნაშრომში „იუდეველთა სიმეველნი“ აღნიშნავს, რომ თავად მოსწრებია შანდლის დღისით წვის პროცესს. გამოსვლათა წიგნში მენორა შემდეგნაირადაა აღწერილი:

„ და ჰქმნე სასანთლე ოქროდსაგან წმიდისა, წახნაგებულად ჰქმნე სასანთლე. ღერი მისი და ლელწმის სახენი და ტაკუნი და ბირთვს სახენი და შროშანნი მისგან იყვნენ... და ჰქმნე სასანთლენი მისნი შვდნი და ზედა დაჰსხნე სანთელნი მისნი და ნათობდენ ერთისაგან პირისა“ (გამ. 25:31, 37).

ინტერესი ამ რელიქვიისადმი არ განელებულა ქრისტიანულ სამყაროშიც. იოანე ღვთისმეტყველი შვიდსანთლიან სასანთლეს მცირე აზიაში არსებულ შვიდ ეკლესიას ადარებს. მას ქრისტეს სიმბოლოდ მიიჩნევდა VII-VIII საუკუნეებში მოღვაწე ნორთუმბრიის წმინდა პეტრეს ტაძრის ბენედიქტელი ბერი ბედა ღირსი. მისი აზრით, შანდალი სიმბოლურად მაცხოვრის სხეულს განასახიერებს, რომელიც თავისი მადლით მთელ კაცობრიობას „კვებავს“. მენორას სხვადასხვა ფორმით გამოსახავდნენ: მის საფუძველს ხან კონუსისებრ ფორმას აძლევდნენ, ხან - მრგვალს, რიგ შემთხვევებში შანდალი სამფეხაზე იდგა. ზოგადად, იგი გამოისახებოდა ცალკე, ან კიდობნის სხვა ატრიბუტებთან, მაგალითად - ტრაპეზთან ერთად. ტოტები სულ შვიდი იყო, მათგან ცენტრალური ტოტი პროპორციით და სიმადლით სხვებისგან გამოირჩეოდა. სანთლების მოსათავსებელ ტოტებს ზოგჯერ ორნამენტებით აფორმებდნენ ან ერთმანეთში ხლართავდნენ. (ტაბ. 41)

კარვის სიღრმეში, კრეტსაბმელით გამოყოფილ სივრცეში დაბრძანებული იყო უშუალოდ „სიბრძნის კიდობანი“ - აკაციის ხისაგან დამზადებული, შიგნიდან და გარედან უძვირფასესი ოქროთი მოჭედილი. გამოსვლათა წიგნში მოთხრობილია, თუ

როგორი უნდა ყოფილიყო კიდობანი, რა მასალა უნდა გამოეყენებინათ ებრაელებს და რა სახის შესაწირი გაეღოთ, რათა აღსრულებულიყო ღვთის ნება.¹⁷

„სიბრძნის კიდობანში“ მოთავსებული ებრაელთა ყველაზე მნიშვნელოვანი სიწმინდეებიდან პირველი და უმთავრესი სჯულის ფილებია. მათზე ამოტვიფრული იყო ღვთის სიტყვა ათი მცნების სახით. ხუთწიგნეულის თანახმად, მოსემ სინას მთაზე ორმოცი დღე დაყო. სწორედ იქ მიიღო მან „ფიცარნი სჯულისა“, ისინი წინასწარმეტყველმა ებრაელთა „ოქროს ხბოს“ კერპთაყვანისმცემლობის დანახვისას მიწას დაანარცხა და დაამსხვრია. ამის შემდეგ მოსემ კვლავ გამოკვეთა ქვისგან ფილები, ავიდა წმინდა მთაზე და უფალმა მათზე ხელახლა გამოსახა ათი მცნება.¹⁸

ქრისტიანულ და ებრაულ ხელოვნებაში სჯულის ფილების გამოსახვის სხვადასხვაგვარი ხერხი არსებობს. სინაგოგებში მათ თორას გრაგნილებისთვის განკუთვნილი ადგილის ზემოთ ათავსებენ. იუდაიზმში ფილებს კვადრატული (ან მართკუთხა) ფორმა გააჩნია, რაც ეწინააღმდეგება ქრისტიანულ იკონოგრაფიას - რენესანსის ეპოქის ხელოვნებაში ფილებს თითქმის ყველგან გახსნილი კოდექსის იერსახე მიეცა, რომელსაც მორკალული ზედა ნაწილი აქვს. საინტერესოა ასოებისა და ენის საკითხიც - ფილებზე მოცემული მცნებები ხან ებრაული კვადრატული დამწერლობით, ხანაც უფრო ადრინდელი ხანის სამარიტული დამწერლობით გამოისახება. ეს უკანასკნელი ფინიკიური დამწერლობის ძველებრაულ ვარიანტს ეფუძნება.

კიდევ ერთ რელიქვიას წარმოადგენდა ჭურჭელი ღვთიური მანანათი (იგივე „ტაკუკი მანანათი“). მანანა, როგორც ცნობილია, იყო ციური საკვები, რომელსაც უფალი 40 წლის განმავლობაში ყოველდღე უგზავნიდა ეგვიპტიდან გამოსულ ებრაელებს უდაბნოში სვლის დროს. ძველი აღთქმის თანახმად, როდესაც ებრაელებს ეგვიპტიდან წამოღებული პური გამოელიათ, უფალმა მათ ხორბლის მარცვალზე უფრო მცირე ზომის საკვები მოუვლინა. სახელწოდება „მანანა“ ამ მარცვლეულმა ამგვარად მიიღო: როდესაც ისრაელიანებმა პირველად იხილეს ციდან პურის ცვენა, გაკვირვებულებმა იკითხეს - „ეს რა არის?“, რაც ებრაულად შემდეგნაირად

¹⁷ (გამ. 25: 10-16)

¹⁸ (გამ. 34: 1-4)

გამოითქმის: „მან-ლუ?“. აქედან წარმომდგარა „ზეციური პურის“ სახელი „მანანა“. გადმოცემის თანახმად, ამ საკვების აკრეფა დილაობით ხდებოდა.

კიდობნის უმნიშვნელოვანესი სიწმინდე იყო აარონის აყვავებული კვერთხი (ტაბ. 42). აარონი, ბიბლიის მიხედვით, მოსეს უფროსი ძმა, ლევიტელთა შტოს წარმომადგენელი და ებრაელთა პირველი უზენაესი მღვდელმთავარი გახლდათ. ის და მისი მამრობითი სქესის შთამომავალნი მღვდელმსახურებად თავად უფალმა აკურთხა:

„და მოიყვანო აჰრონ და მენი მისნი წინაშე კარსა კარვისა მის საწამებელისასა, და განბანნე იგინი წყლითა, და შეჰმოსო აჰრონს იგი წმიდაჲ, და სცხო მას და წმიდა იყოს იგი მღვდელად ჩემდა; და იყოს მათა ცხებულება მღვდლობისა უკუნისამდე ნათესავთა შორის მათსა. და ყო ეგრე მოსე, ვითარცა-იგი უბრძანა უფალმან მოსეს, ეგრე ქმნა.“ (გამ. 40:12-14).

კიდობანში აარონის აყვავებული კვერთხის დაბრძანება კონკრეტულ ბიბლიურ ეპიზოდს უკავშირდება: უდაბნოში ხეტიალის დროს ებრაელთა გარკვეულმა შტოებმა უკმაყოფილება გამოთქვეს ლევიტელთა გამორჩეულობასთან დაკავშირებით. ისინი ეჭვის ქვეშ აყენებდნენ აარონის „ცხებულობისა“ და სიბრძნის კარავში მისი მსახურობის საკითხს. იმისათვის, რომ ეს კამათი და უკმაყოფილება დასრულებულიყო, გადაწყდა თითოეული შტოს წარმომადგენელთა კუთვნილი კვერთხების კარავში მოთავსება, რათა დავა „ღვთიური სამართლისამებრ“ გადამწყდარიყო. მეორე დილას ებრაელებმა აღმოაჩინეს, რომ აარონის კვერთხი, სხვა კვერთხებისგან განსხვავებით, აყვავდა და ნიგვზის ნაყოფი გამოისხა:

„და იყო ხვალისაგან, და შევიდეს მოსე და აჰრონ კარვად საწამებელისა. და, აჰა, ესერა, კუერთხი იგი აჰრონისი განედღებულ იყო სახლსა ზედა ლევისსა, და მოელო ფურცელი, და გამოელო ყუავილი და გამოსცა ნიგოზი. და გამოილო მოსე ყოველი იგი კუერთხები პირისაგან უფლისა წინაშე ყოველთა მეთა ისრაჴლისათა. და იხილეს და მოილო კაცად-კაცადმან კუერთხი თჳსი.“ (რიცხ. 17:8-9).

ამ სასწაულის შემდეგ აარონ მღვდელმთავრის კვერთხი დაბრძანებულ იქნა კარავში და სიმბოლურად მიანიშნებდა ლევიტელთა გვარის უფლისაგან რჩეულობას.

წმინდა წერილში ძველი აღთქმის თითქმის ყველა მოვლენა წარმოგვიდგება, როგორც ჩრდილი ან წინასახე ახალაღთქმისეული სახეებისა და მოვლენებისა. მათი უმთავრესი საგანია ქვეყნიერების მსხნელი, უფალი ჩვენი იესო ქრისტე, რომელიც ქალწული მარიამისაგან იშვა. ყურადღების გარეშე ვერ დავტოვებთ დედა ღვთისას სხვა სიმბოლოების განმარტებებს, რადგან ისინი ჩვენ მიერ განხილულ ძეგლებში მოგვეპოვება: 1. პატრიარქ იაკობს ჰქონდა საიდუმლო ხილვა - მას ეჩვენა კიბე, რომლის ძირი მიწაზე იდგა, წვერი კი ცას სწვდებოდა. წმინდა ეკლესია ღვთისმშობელს უწოდებს იაკობის, ანუ „სულიერ კიბეს“, რომელიც მიწისაგან იშვა და მიწა ცასთან შეაერთა, ღვთისმშობლის მემკვიდრით ღმერთი მიწაზე გადმოვიდა და ცათა სასუფეველის კარი გაუღო მორწმუნეებს; 2. მარიამის ხატება იხილა მოსემ მაყვლოვანის ბუჩქში, რომელიც ენთო, მაგრამ არ იწვოდა - აქ ისევ და ისევ ნაწინასწარმეტყველებია ქალწულებრივი საიდუმლო, რომლის მიხედვითაც მარიამი შობს სინათლეს და თავად განუხრწნელი რჩება. ქრისტიანულ ხელოვნებაში შეუწველი მაყვლოვანის იკონოგრაფია ღვთისმშობელს დაუკავშირდა და იგი ხშირად ცეცხლის ენებით გარშემორტყმული გამოისახება. ნათლის სვეტი, რომელიც დღისით უჩრდილებდა, ხოლო ღამით ცეცხლის ალით უნათებდა მოსეს მიერ ეგვიპტიდან გამოყვანილ ისრაელს, არის მინიშნება ღვთისმშობელზე, როგორც ნათლის ღრუბელზე - მან იტვირთა ღმერთი, რომელიც ადამიანს აღთქმული მიწისაკენ ანუ ზეციური სასუფეველისკენ გაუძღვა; 3. გედეონის საწმისი მშრალი დარჩა მაშინ, როდესაც მიწა ნამით დაილტო - ასევე ქალწულად დარჩა უფლის შობისას მარიამი; 4. სამი ყრმა - ანანია, აზარია და მისაილი - ბაბილონის მეფის მრისხანებას არ შეუშინდა და შემოქმედის სანაცვლოდ შექმნილს არ სცა თაყვანი. ამის გამო ყრმები „აგზნებულ ბრძმედში“ ჩაყარეს, მაგრამ ისინი უვნებლად გამოვიდნენ - ესეც ღვთისმშობლის სახეა, რომელმაც ქვეყნის შემოქმედი იღო მუცლად, მაგრამ უბიწო დარჩა.¹⁹

სჯულის კარვისა და „აღთქმის კიდობნის“ შემთხვევაშიც მსგავს წინასწარმეტყველებასთან გვაქვს საქმე. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ადგილს, სადაც,

¹⁹ სნესოროვა ს, ღვთისმშობლის მიწიერი ცხოვრება და მისი სასწაულმოქმედი ხატების ისტორია, თბილისი, 2007, გვ. 8-10

გადმოცემის თანახმად, ალექსის კიდობანი იყო დაბრძანებული, „წმიდათა წმიდა“ ეწოდებოდა. თვით კიდობანი შიგნიდან და გარედან ოქროთი იყო დაფარული და მასში ინახებოდა სჯულის ფიცრები: ეს მიანიშნებს ღვთისმშობლის წიაღზე, რომელიც „სულიწმიდის“ მიერ იყო მოოქროვილი, რომლიდანაც თვით უფალი - სჯულისმომცემი გამოგვიჩნდა. კიდობანშივე იდგა ჭურჭელი ციდან მოვლენილი მანანათი: ღვთისმშობელში განხორციელდა პური ცხოვრებისა, რომელიც ქვეყნად მოველინა და მორწმუნეთა სულები უკვდავი პურით დააპურა. აარონის ხმელი კვერთხი განედლდა და შემდეგ უკვე ისევ კიდობანში დაიდო. ესეც ღვთისმშობლის წინასახეა - მარიამი ბერწი მშობლებისგან იშვა და ჭეშმარიტად დაუჭკნობელი კვერთხი და ყვავილია. გარდა ამისა, ნეტარი იერონიმე სტრიდონელი თავის ერთ-ერთ წერილში აღნიშნავს, რომ წმინდა იოსები მარიამ ღვთისმშობლის მეუღლედ ზუსტად ისეთივე, ძველალექსისეული კენჭისყრით - კვერთხის აყვავების გზით - გამოირჩა.²⁰ სწორედ ამ იდეის წარმოჩენას ვხედავთ ზარზმის მოხატულობის იმ უკვე აღწერილ ეპიზოდში, სადაც გამოსახულია ღვთისმშობელი, რომლის თავზეც მღვდელმთავარს წმიდა იოსების განედლებული კვერთხი უპყრია.

ღვთისმშობლის სიმბოლოთა საღვთისმეტყველო საზრისისათვის: საეკლესიო ლიტურატურაში მარიამ ღვთისმშობლის ძველალექსისეული წინასახეები III – IV საუკუნეებიდან გვხვდება. V საუკუნემდე ძალიან მცირე რაოდენობით შემოინახა ღვთისმშობლის კულტთან დაკავშირებული ლიტურგიკული მონაცემები. არც ამ პერიოდის საეკლესიო კალენდრებში არ გვხვდება ღმრთისმშობლისადმი მიძღვნილი დღესასწაულები, თუმცა, ქალწულ მარიამისადმი თაყვანისცემა განსაკუთრებულ ადგილს ხორცშესხმის, ანუ განსხეულების დღესასწაულებში იძენდა. ღვთისმშობლის ხსოვნის პირველი დღესასწაული - 15 აგვისტო - (ძვ.სტილით) იერუსალიმში V საუკუნის შუა ხანებიდან დამკვიდრდა. ამ დღის საღვთისმეტყველო საკითხავები უკვე შეიცავდა ძველი ალექსის ტექსტებს, რომლებიც შემდეგ შეტანილ იქნა ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი სადღესასწაულო დღეების საკითხავებშიც. VI საუკუნის შუა პერიოდამდე ბიზანტიაში ხარების დღესასწაული აღინიშნებოდა 26

²⁰ Блаженный Иероним Стридонский, О Приснодевстве блаженной Марии

დეკემბერს, ანუ ქრისტეს შობის მეორე დღეს და, შესაბამისად, უკავშირდებოდა მაცხოვრის განსხეულების იდეას.

ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი მთავარი დღესასწაულების - მიძინება (15 აგვისტო), შობა (8 სექტემბერი), ხარება (25 მარტი) აღნიშვნა კანონიკურ და სისტემატურ სახეს VII საუკუნიდან იძენს, ხოლო ღვთისმშობლის ჩასახვის (9 დეკემბერი) და ტაძრად მიყვანების (21 ნოემბერი) დღესასწაულები - რამდენადმე გვიან. ამ დღესასწაულთა საკითხავების უმეტესი ნაწილი დათარიღებულია IV - IX საუკუნეებით. აქედან გამომდინარე ნათელი ხდება, რომ ღვთისმშობლის იკონოგრაფიული და ლიტურგიკული საფუძვლები პალეოლოგოსურ პერიოდამდე ბევრად უფრო ადრე ჩაისახა. მარიოლოგიური სიმბოლიკა, რომელსაც გვთავაზობდა აღნიშნული ლიტერატურა, შეიცავდა იდეას ქრისტეს შობის შესახებ, რომელიც განხორციელდა მიწიერი ქალწულის მეშვეობით. სწორედ მასში განსხეულდა ღვთიური სიტყვა. ეს იდეა მეტად მნიშვნელოვანია, რადგან იგი უდევს საფუძვლად მომდევნო საუკუნეებში „სიბრძნის კარვის“ ღვთისმშობლის უშუალო სიმბოლოდ გადაქცევას. დაუჯდომლებში, ჰიმნებში, ბიზანტიელ მწერალთა სადიდებელ სიტყვებში, საგალობლებსა და ლიტურგიკულ წესგანგებაში ვხვდებით ქალწულ მარიამის ბიბლიური წინასახეების მრავალრიცხოვან ეპითეტს.

სინაძს წმ. ეკატერინეს მონასტერში დაცულია ტროპარი, რომელიც შედის წინასწარმეტყველთა იმ კანონის შემადგენლობაში, რომელიც იკითხებოდა დიდი მარხვის პირველ კვირას. მისი შედგენა მიეწერება პატრიარქ გერმანე კონსტანტინოპოლელს. აღსანიშნავია, რომ ლიხნის ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძარში ერთ-ერთ კედელზე სწორედ გერმანე კონსტანტინეპოლელის ფრესკა მოგვეპოვება. ამ ტროპარში ჩამოთვლილია „სჯულის კარავი“ და მისი ყველა ატრიბუტი (წმინდა ტრაპეზი, სჯულის ფილები, აარონის აყვავებული კვერთხი და სხვ) რომლებიც „დედა ღვთისას“ უკავშირდება.

ღვთისმშობლის ძველი აღთქმის სახე-სიმბოლოთა გააზრების თვალსაზრისით, ვფიქრობ, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საღვთისმეტყველო ტექსტია იოანე დამასკელის დოგმატური სწავლება ღვთისმშობლის შობისადმი მიძღვნილი საკითხავიდან: „სიტყუადთ შობისათჳს ყოვლად წმიდისა დედოფლისა ჩუენისა

ღმრთისმშობლისა და მარადის ქალწულისა მარიამისა“. ბიზანტიელი ღვთისმეტყველი დედა ღვთისასთან დაკავშირებულ თითქმის ყველა ძველალექსისეულ სიმბოლოს ჩამოთვლის. ეს ტექსტი ქართველმა მეცნიერებმა 1986 წელს გამოსცეს „ძველი მეტაფრასული კრებულის“ (სექტემბრის საკითხავები) ფარგლებში ოთხი ნუსხის მიხედვით. ტექსტი ოთხივე ნუსხაში იდენტურია. გარდა ამისა, კორნელი კეკელიძე ექვთიმე მთაწმინდელის თარგმანებს შორის ასახელებს იოანე დამასკელის ამ თხზულებასაც.

აღნიშნულ საკითხავში მარიამთან მიმართებაში ნახსენებია „კუერთხი“ („დღეს ძირით იესესით კუერთხი აღმოსცენდა, რომლისა მიერ სოფელსა აღმოუცენდა ყუავილი ღმრთივ გუამოვანი“), კიბე („დაემყარა საცნაური იგი კიბე ქალწული, რამეთუ ქვეყანაზე იშვა იგი. ხოლო თავი მისი ზეცას მისწვდება, რადგან თავი მისი - ღმერთია“), რომელიც წარმართული პერიოდიდან მოდის და ქრისტიანობაში ცისა და მიწის მაკავშირებლის ფუნქციას იღებს. ასევე, ხაზგასასმელია დედა ღმრთისას მთასთან შედარება: „დღეს იშვება მთაჲ, რომელზე რომელზე დამკვიდრება სათნო იჩინა ღმერთმა; ეტლი ღმრთისა, საღმთო მადლით მდიდრულად მორთული, მწვერვალი სიონის მთისა უწმიდესი, რომელსაც ვერაფერი დაფარავს, მხოლოდ განმანათლებელი სული წმიდის გამობრწყინდება. რამეთუ იქ ღმრთის სიტყვამ ქვის ფიცარზე დაწერა სჯული თითითა ანუ სულითა“. კიდევ ერთ ეპიზოდში გვხვდება ხის სიმბოლური სახე: „ვითარცა ზეთისხილი მსხმოი სახლსა შინა ღმრთისასა და ვითარცა ხე ცხოვრებისაჲ.“ შემდეგ იოანე დამასკელი ახსენებს უშუალოდ „სიბრძნის კარავს“ და მის წმინდა ნაწილებს: „მისგან, მისი სისხლისგან და სულისგან წმიდისა იშვა ხორციელად სიტყვა ღმრთისა და ჩვენს ბუნებას მისცა წამალი ცხოვრებისაჲ: იქ, ძველად მანანა, ხოლო აქ თვით მანანის სიტკბოების მომცემელი იგი იქმნა კარვად ღმრთისად... იგი იქმნა კიდობნად, ძველი წესით ყოვლად გამორჩევით განმშვენიებული და მასში დასვენებული სიწმინდენი პატივისცემოდა აჩრდილებრ, ახლა კი პირმშოსახეობით მკვირდ იქნა.“²¹

VII-VIII საუკუნის უდიდესი საეკლესიო მოღვაწე, ბიზანტიელი ჰიმნოგრაფი და კრეტის მიტროპოლიტი ანდრია კრიტელი ჩამოთვლის მარიამ ღვთისმშობელთან დაკავშირებულ სიმბოლოებს და მათ შორის ახსენებს „სიბრძნის კავარსაც“.

²¹ ეკლაძე ზ., წმინდა იოანე დამასკელი და მისი დოგმატური სწავლება ღვთისმშობლის შობისადმი მიძღვნილი საკითხავიდან, საპატრიარქოს უწყებანი, თბ., 2008, 18-24 სექტემბერი, №32 (473), გვ. 12-17

აღსანიშნავია მიქაელ მოდრეკილის მიერ X საუკუნის მეორე ნახევარში შედგენილი იადგარი, სადაც ჰიმნოგრაფი ღვთისმშობელს კიდობანს ადარებს: *„განსცხრებოდე აწ სულითა ძლიერით და გალობდ დავით ღვთისმგალობელი და შეამკობდ დღეს ქნართა. რამეთუ მზესა აღდგა კარავი თვისი თავადმან და პირველ საუკუნეთა მფლობელი იწოდების დღეს ძედ შენდა კიდობნისა მისგან სიწმიდისა, რომელ არს ქალწული...“* „ტაძრისაგან სამეუფოდსა ღმრთისა სადგურისა და კიდობნისა მისგან სიწმიდისა რომლისა სიკეთედ სთნა მეუფეს: პირვე გამოსახულისა ღვთის მგალობელთაგან: საშოდსა უსძლოისა ქალწულისა. როგორც ვნახეთ, ტექსტში ვხვდებით არა მხოლოდ ღვთისმშობლის კიდობანთან გაიგივებას, არამედ დედა ღმრთისასკენ მიმართულ სხვა ისეთ ეპითეტებს, როგორცაა „უსძლო ქალწული“ და „ტაძარი“. თითოეული ჩამოთვლილი სიმბოლო ხაზს უსვამს, რომ ღვთისმშობელი არის კარავი, შესაბამისად - ტაძარი, აქედან გამომდინარე კი - კოსმოსი.

აღნიშნულ იადგარში ვხვდებით შემდეგ საგალობელსაც: *„კიდობნად სჯულისად გიცნობთ: რამეთუ სიტყუანი საღმრთონი გქონან შენ: ვითარცა ფიცარნი ქვისანი, სავსენი სიბრძნითა სულითა“*. ამ მონაკვეთში უკვე „სიბრძნის კიდობნის“ უმნიშვნელოვანესი სიწმინდე, რჯულის ფიცრებიც, მარიამთან მიმართებაში მოიხსენიება.²²

„კლარჯულ მრავალთავში“ ვხვდებით იერემია წინასწარმეტყველის სიტყვებს: *„აღდეგ, უფალო, განსასუენებლად შენდა. შენდა კიდობანი სიწმიდისა შენისად, რომელ არს წმიდად ქალწული მარიამ, რომელი მიიცვლების ამიერ სოფლით წინაშე ღმრთისა, რომელსა დღეს წმიდანი მოციქულნი სიონს შინა შემურვისა გალობასა უღალადებენ.“*²³ წინასწარმეტყველი ამბობს, რომ მეორედ მოსვლის დროს კიდობანი აღდგება და დადგება სინას მთაზე, ძველი სჯულის დასასრული და ახლის დასაწყისი კი უშუალოდ ღვთისმშობლის სახელს უკავშირდება, რადგან მან მოავლინა ახალი სჯული ანუ მაცხოვარი.

²² გრიგოლია თ., ღვთისმშობელი ქართველ ჰიმნოგრაფთა სახეობრივ მეტყველებაში (სადისერტაციო ნაშრომი), თბილისი, 2012, გვ. 55

²³ კლარჯული მრავალთავი, ტექსტი გამოსახემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო თამილა მგალობლიშვილმა, „მეცნიერება“, თბილისი, 1991, გვ. 410

ძველი მეტაფრასული კრებულის სექტემბრის საკითხავებში ვხვდებით ღვთისმშობლის ოქროს სასანთლესთან შედარებას: „გიხაროდენ სასანთლეო, რომელი ეგე ოქროდთა ქალწულებისადთა ზესთა ბრწყინვალე ხარ და ნათლად მოგიგიეს მადლი სულისა წმიდისაჲ, ხოლო ზეთად განმაპოხებელად ლამპრისა შენგან მიღებულნი იყო ჯორცნი წმიდანი, რომლისა მიერ დაუვალი იგი ნათელი ქრისტე ბნელსა და აჩრდილთა სიკუდილისათა მსხდომარეთა აღუნთეს ლამპართა ცხოვრებისა საუკუნოდსათა.“

ღვთისმშობლის სიმბოლოებს გვხვდება ისეთ ჰიმნოგრაფიულ ტექსტებში, როგორცაა „მილისპირნი და ღმრთისმშობლისანი“: „გიხაროდენ სასანთლეო და ტაკუკო ოქროდსა წმიდაო, რომელმან იტვთე ქრისტე, ცხოვრებისა მომცემელ...“²⁴

ღვთისმშობლის წინასახეებ შუა საუკუნეების ქრისტიანულ ხელოვნებაში სხვადასხვა ეპოქაში ვხვდებით. ჩვენთვის საინტერესო კიდობანს, ძირითადად, კარავთან ერთად, მის წიაღში გამოსახავდნენ, თუმცა ბეთანიის მოხატულობა გვიჩვენებს, რომ დამოუკიდებლად არსებობდა უშუალოდ კიდობნის გამოსახვის ტრადიცია. თავად კარავს სამკომპიანი არქიტექტურული ნაგებობის სახე ჰქონდა, რომელიც ორი ნაწილისაგან შედგებოდა. „წმიდათა წმიდა“ ანუ ის ადგილი, სადაც უშუალოდ კიდობანი იყო დაბრძანებული, კრეტსაბმელით გამოიყოფოდა დიდი ოთახისაგან ანუ „პირველი კარვისაგან“. კიდობანი გამოისახებოდა, როგორც ხისგან დამზადებული და ძვირფასი ქვებით მოვარაყებული მცირე ზომის ყუთი. მასზე იდო ტაკუკი ღვთიური მანანათი და შვიდსანთლიანი შანდალი, იგივე მენორა.

მკვლევართა განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობდა პალეოლოგოსთა ეპოქის მარიოლოგიური ბიბლიური ციკლები. განსაკუთრებით ამ პერიოდში ბიზანტიურ, ბალკანურ, რუსულ მონუმენტურ მხატვრობასა და ხატწერაში ფართო გავრცელებას პოულობს არა მარტო პროევანგელური აპოკრიფული ციკლის გამოსახულებანი მარიამ ღვთისმშობლის ცხოვრებიდან და ჰიმნოგრაფიული ტექსტების - დაუჯდომლების, საშობაო საგალობლების - ილუსტრაციები, არამედ ღვთისმშობლის ძველადთქმისეული სიმბოლოების გამოსახულებანიც. ასეთი ინტერესი მარიოლოგიური ხატწერისადმი, ბუნებრივია, იწვევდა ღვთისმშობლის კულტის კიდევ უფრო განვითარებასა და

²⁴ მილისპირნი და ღმრთისმშობლისანი, ელ. მეტრეველის რედაქციით, „მეცნიერი“, თბილისი, 1971, გვ. 35

გაფართოებას, რაზედაც მეტყველებს ანდრონიკე II-ის (1297) დეკრეტი კონსტანტინოპოლის უდიდეს ტაძრებში ღვთისმშობლის მიძინების დღესასწაულის მთელი აგვისტოს თვის განმავლობაში აღნიშვნის შესახებ. ამ ეპოქიდან შემორჩენილია მრავალი ძეგლი ძველადთქმისეული ციკლებით, სადაც მოცემულია ღვთისმშობლის სიმბოლოები .

თუმცა, ანალოგიური იკონოგრაფია ბევრად ადრე ჩამოყალიბდა. ამ მხრივ მნიშვნელოვანია შუაბიზანტიური ხანის ძეგლების მიმოხილვა. IX-XII საუკუნეების ხელნაწერები და ხატები საშუალებას გვაძლევს დავაკვირდეთ ამ სახის სიმბოლური ციკლების ფორმირების პროცესს.

კაროლინგურ, ბიზანტიურ და სლავურ ფსალმუნებში, დაწყებული IV საუკუნიდან ვიდრე XIV საუკუნემდე, ვხვდებით დავითის ფსალმუნთა და სხვა წინასწარმეტყველთა იმ სიტყვების ილუსტრაციებს, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება ღვთისმშობელს და მოიაზრება, როგორც მის შესახებ წინასწარმეტყველება. ქრისტიანულ ხელოვნებაში არსებობს რამდენიმე ბიზანტიური ხელნაწერი „ხარების“ სცენის ამსახველი მინიატურებით, რომელიც, თეოლოგთა აზრით, პირდაპირ ეხმიანება დავითის სიტყვებს: „ისმინე, ასულო, და იხილე, და მოყავ ყური შენი; და დაივიწყე ერი შენი და სახლი მამისა შენისა“ (ფსალმუნი 44:11). ეს ხელნაწერებია: ათონის პანტოკრატორის მონასტრის IX საუკუნის ფსალმუნი, ბრისტოლის ფსალმუნები ბრიტანეთის მუზეუმიდან, ვატიკანის ბიბლიოთეკაში დაცული ბარბერინის ფსალმუნი (XI საუკუნე), რომელსაც ახლავს ზემოციტირებული ტექსტი დავითის ფსალმუნებიდან (იქნება მითითებული ილუსტრაცია), ჰამილტონის ფსალმუნი ბერლინის მუზეუმიდან. ეს უკანასკნელი ქალწულ მარიამის ერთ-ერთი ყველაზე უძველესი წინააღმდეგისეული წინასახეა, რომლის ტექსტი, V საუკუნის შუახანებში, იერუსალიმში, მხოლოდ ღვთისმშობლის დღესასწაულებზე იკითხებოდა, ხოლო შემდეგ - ხარებისა და მაცხოვრის შობის დღესასწაულებზეც. აქ ღვთისმშობელი გაიგივებულია ეკლესიასთან. დაახლოებით 850 წელს კონსტანტინეპოლის სტუდიოსის მონასტერში შექმნილ ხლუდოვოს ფსალმუნშიც წარმოდგენილია დავითის მიერ ნაწინასწარმეტყველები „ხარება“ (იქნება ილუსტრაცია). ეს ხელნაწერი ამჟამად ინახება რუსეთის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში და წარმოადგენს უნიშვნელოვანეს ძეგლს, რადგან შექმნილია

სწორედ ხატმებრძოლობის პერიოდში და შეიცავს ამ მოვლენის ამსახველ მინიატურებს (აქ ილუსტრაცია). დათარიღების შესახებ სხვადასხვა მოსაზრება არსებობს: ლაზარევი მას 787—815 საუკუნეებით ათარიღებს და სწორედ მისი ვერსიის თანახმად, იგი სტუდიოსის მონასტერში გადაიწერა და მოიხატა, მაშინ, როდესაც ალექსეი გრაბარი მიიჩნევდა, რომ აღნიშნული ხელნაწერი პატრიარქ ფოტიოს I-ის სახელოსნოში შეიქმნა 858—867 საუკუნეებში, ხოლო მომხატველი იყო სირაკუზელი ეპისკოპოსი გრიგორი ასბესტოსი (ბერზ. ἄσβεστος, რაც ნიშნავს დაუნგრევებს). კიდევ ერთი ვერსიის თანახმად, ხელნაწერი უკვე ხატმებრძოლობის შემდეგ შეიქმნა და წარმოადგენს ამ მოვლენაზე მორწმუნეთა გამარჯვების სიმბოლოს.

საინტერესოა ბავარიის ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცული სერბული ფსალმუნიც, რომელიც შეიცავს, ასევე, ღვთისმშობლის სამადლობელ საგალობელს. ზოგადად, ეს ძველი სერბული ხელნაწერი წიგნის გაფორმების ისტორიაში ყველაზე მდიდრულად ილუსტრირებულია. შეიქმნა დაახ. 1370 წელს, სერბეთის უკანასკნელი დამოუკიდებელი მმართველის, ლაზარეს დროს. მეცნიერთა აზრით, ამ ფსალმუნის ილუსტრაციები წარმოადგენს რამდენიმე მხატვრული სკოლის, კერძოდ, მეტაიჩეს და მიტროპოლიტ იოანე ზოგრაფის სკოლების სინთეზს. ორივე ჩამოყალიბდა სკოპიეს შავი მთის ტერიტორიაზე (ახლანდელი ჩრდილოეთ მაკედონიის რესპუბლიკა). ხელნაწერი შეიცავს 148 მინიატურას. მათგან რამდენიმე წარმოადგენს მარიამის სახესთან დაკავშირებულ ლეგენდას - ქვის გამოსახულება ესატყვისება დანიელ წინასწარმეტყველის სიტყვებს ნაბუქოდონოსორის სიზმრის მთიდან მოწყვეტილი ქვის შესახებ:

„ჰა, ხედავდი, მეფეო, ერთ დიდ კერპს; უზარმაზარი იყო ეს კერპი და უცხოდ გაბრწყინებული იდგა შენს წინაშე; საშინელი შესახედავი იყო. ამ კერპს თავი წმინდა ოქროსი ჰქონდა, მკერდი და ხელები - ვერცხლისა, მუცელი და ბარძაყები - სპილენძისა, წვივები - რკინისა, ფეხები ნაწილობრივ რკინის, ნაწილობრივ - თიხისა. შენ დაინახე, რომ ხელისუკვრელად ადგილიდან მოსწყდა ერთი ლოდი, დაეცა კერპს, რკინისა და თიხის ფეხებზე მდგარს, და შემუსრა იგი. მაშინ ყველაფერი ერთიანად დაიფშვნა, რკინა, თიხა, სპილენძი, ვერცხლი და ოქრო ისეთი გახდა, როგორც ბზე ზაფხულის

კალოზე. ქარმა წაიღო ისინი და მათი ნატამალიც კი აღარ დარჩა. ხოლო ის ლოდი, კერპი რომ შემუსრა, ვეებერთელა მთად იქცა და მთელი დედამიწა დაიჭირა. სიზმარი ეს იყო. ახლა კი მის ახსნასაც ვიტყვი მეფის წინაშე.“ (დანიელი 2:31-36).

მსგავსი მინიატურა გვხვდება XI საუკუნის თეოდორეს ფსალმუნშიც (MS 19352 Theodore Psalter), რომელიც დღეისათვის ბრიტანეთის ბიბლიოთეკაშია დაცული (აქ ტაბულა). აქ მოცემულია მთა ზემო ნაწილში ღვთისმშობლისა და ჩვილი ქრისტეს გამოსახულებებით მედალიონში, მთის ძირას კი ტახტი მეფე ნაბუქოდონოსორის სხეულით. მთა კი ქრისტიანულ ცნობიერებაში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მოაზრებულია, როგორც მარიამ ღვთისმშობლის, ხოლო ქვა - იესო ქრისტეს სიმბოლოდ.²⁵

„აღთქმის კიდობნის“, როგორც დედა ღვთისას სიმბოლური სახის გააზრებისათვის უმნიშვნელოვანესი ძეგლია ვატიკანის ბიბლიოთეკაში დაცული დედოფალ ქრისტინეს ბიბლია (X საუკუნის პირველი ნახევარი), რომლის ერთ-ერთ მინიატურაში გამოსახულია „აღთქმის კიდობნის“ გადატანა ლევიტელთა მიერ. აღსანიშნავია, რომ ლევიტელებს კიდობანი მხრებზე აქვთ დაბრძანებული, იქვე გამოსახულია მოსე წინასწარმეტყველიც, რომელიც მიყვება პროცესიას და აარონი საცეცხლურით, რომელიც წინ მიუძღვის ებრაელებს. გამოსვლათა წიგნის (გამოსვ. 25, 37, 40) თანახმად, სწორედ „წმინდა კარავში“ ინახებოდა: რჯულის ფილები, ჭურჭელი ღვთიური მანანათი, აარონის აყვავებული კვერთხი. იგი გახლდათ ისრაელთა მოძრავი ტაძარი, რომლის გადატანა მხოლოდ ხელშეუხებლად, მხრებზე შემოდებით შეიძლებოდა.

ქალწული მარიამის ამგვარმა შედარებამ კიდობანთან, ანუ უფლის საცავთან, გამოხატულება პოვა XIII საუკუნით დათარიღებულ ოკტატევის მინიატურაში ათონის ვატოპედის მონასტრიდან. მინიატურაში გამოსახულია ებრაელთა მიერ „აღთქმის კიდობნის“ მდინარე იორდანეზე გადატანა, კიდობნის სახურავზე განთავსებულია მედალიონი ქალწულ მარიამის გამოსახულებით.

განსაკუთრებით საინტერესოა ბიზანტიელ ვაჭარ კოზმა ინდიკოპლოვის (VI ს.) ცნობილ ნაწარმოებში „христианская топография“ შეტანილი ილუსტრაციები,

²⁵ Этингоф О, Образ Богоматери, М., 2000, გვ 18

რომლებიც უფრო მოგვიანო პერიოდს, კერძოდ კი XI საუკუნეს მიეკუთვნება. ეს ძეგლი, რომლის ადგილსამყოფელი ამჟამად უცნობია, წარმოადგენს იმ ეპოქისათვის უნიკალურ ტრაქტატს გეოგრაფიული აღწერილობებით და ავტორისეული კოსმოგონიური თეორიით, რომლის მიხედვითაც დედამიწა წარმოადგენს ორად გაყოფილ სიბრტყეს - ერთ მხარეს არის სამყარო მოკვდავთათვის, ხოლო მეორე მხარეს - ღვთიური. ხაზგასასმელია ის მოვლენა, რომ კოზმა სამყაროს „აღთქმის კარვის“ სახედ მიიჩნევდა. ნაწარმოებში აღწერილია კარავი, აღთქმის კიდობანი, წმინდა ნივთები და ჭურჭლები. აღწერილობას თან ახლავს მინიატურები შესაბამისი საგნების გამოსახულებით. გამონაკლისი მხოლოდ აარონის კვერთხია, რომელიც ტექსტში არ მოიხსენიება და მხოლოდ XI საუკუნის მინიატურის სახით იყო მოცემული. განსაკუთრებით ცნობილია მინიატურა სმირნის ევანგელისტური სკოლიდან, სადაც, აგრეთვე, ძველადღთქმისეული სიმბოლოები დაკავშირებულია ღვთისმშობელთან.

რამდენადაც მრავალ ქრისტიანულ ტექსტსა და ლიტურგიკულ საკითხავებში ღვთისმშობელი გაიგივებულია კარავთან და მის სიწმინდეებთან, ამდენად, კოზმა ინდიკოპლოვის ტექსტსა და მასთან დაკავშირებულ ილუსტრაციებსაც ენიჭება მარიოლოგიური მნიშვნელობა. ზემოაღნიშნული ხელნაწერის 8 მინიატურა წარმოადგენს ღვთისმშობელის მიერ მაცხოვრის განსხეულების იდეას მინაწერებითა და გამოსახულებებით. კიდობანი, კოზმას ტექსტის მიხედვით, ღვთისმშობლის სახეა. ჰიმნოგრაფიიდან და ლიტურგიიდან ცნობილია კოსმოსის ხსნის იდეა, როგორც ქრისტეს შობის წყალობა. აღნიშნულ მინიატურათა ციკლში ღვთისმშობლის გამოსახულების თანმხლებია კარვის ძველადღთქმისეული სიმბოლოები და მისი ყველა სიწმინდე - აღთქმის, აარონის კვერთხი, ტატუკი (ფიალა) ციური მანანით, შვიდსანთლიანი სასანთლე. ეს სიმბოლოები შეესაბამება ძველი აღთქმის ტექსტს მოსეს მიერ საკრებულო კარვის მოწყობის შესახებ.

ბიზანტიურ ჰომილეტიკასა და ბიბლიოგრაფიაში ხშირია ღვთისმშობლის შედარება ნოეს კიდობანთანაც, რასაც კოზმას ნაშრომშიც ვაწყდებით როგორც ტექსტის, ასევე მინიატურის სახით. გარდა ამისა, ერთ-ერთ მინიატურაში ღვთისმშობელი გაიგივებულია ტრაპეზთან. ჩვეულებრივ შუასაუკუნეების ტექსტებში ტრაპეზი გაიგივებულია, არა მარტო მოსეს კარვის აღწერასთან, არამედ, სოლომონის

წინასწარმეტყველების წიგნის მიხედვით, ღმერთის სიბრძნის ტაბლასთან (იგავნი სოლომონისა 9:1 – 11), რომელიც მოიაზრება, როგორც ღვთისმშობლის სახე, რომელშიც განხორციელდა ახალაღთქმისეული არტოსი (წმ. სეფისკვერი) - ქრისტე. ციკლის მეოთხე მინიატურა გადმოგვცემს ღვთისმშობლის შედარებას კარვის შვიდსანთლიან სასანთლესთან/შანდალთან, რომელიც კარვის წვერზეა განთავსებული. ღვთისმშობელი სასანთლის სახე კარგადაა ცნობილი და დამუშავებული ბიზანტიურ ჰომილეტიკასა და ჰიმნოგრაფიაში. ეს სიმბოლო ნახსენები იყო ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების დღესასწაულზე (შვიდსანთლიანი შანდალი სულიწმინდის შვიდ მადლს განასახიერებს). მეხუთე მინიატურაში გამოსახული იყო ღვთისმშობელი და საკურთხეველზე აყვავებული აარონის კვერთხი.

მიუხედავად იმისა, რომ ღვთისმშობელთან დაკავშირებული ძველიაღთქმისეული სიმბოლოები უკვე VI საუკუნის საკითხავებში ჩნდება და წარმოითქმის იმ საუფლო დღესასწაულებზე, რომლებიც უშუალოდ დედა ღმრთისას ან მაცხოვარს უკავშირდება, ჩვენ მაინც ვნახეთ რომ ხელოვნებაში ამ სიმბოლოებმა წინ XI საუკუნიდან წამოიწია, პალეოლოგოსთა ხანაში კი უმნიშვნელოვანესი იდეური დატვირთვის მქონე წინასახეებად იქცა. ამას ხაზს უსვამს მათი კონქში გამოსახვა (ლიხნისა და ზარზმის მაგალითი). აღსანიშნავია, რომ ტაძარში სიმბოლოთა ადგილმდებარეობა და განლაგება სადავო საკითხი იყო, ასე მაგალითად, ს. დერ. დერსესიანი ამტკიცებდა, რომ ღვთისმშობლის ძველიაღთქმისეული სიმბოლოები გამოისახებოდა მხოლოდ ტაძრის დასავლეთ მხარეს, ნართექსში, ²⁶ მაგრამ ქართულ რეალობას ეს თეორია ვერ შეესატყვისება, რადგან ჩვენს ძეგლებში ამ სიმბოლოებს კონქში გამოსახავდნენ - ამით წარმოჩინდებოდა განკაცებისა და ევქარისტული იდეაც, რაც მონოფიზიტებთან პოლემიკის მთავარ საგანს წარმოადგენდა.

ბიზანტიურ ცივილიზაციაში მარიოლოგიურ სიმბოლოთა გაძლიერებას კიდევ სხვა მნიშვნელოვანი მიზეზები ჰქონდა. XII საუკუნეში, ხატმებრძოლების დამარცხების დროიდან პირველად, საღვთისმეტყველო კამათებში კვლავ წამოიჭრა საკითხი ხატთაყვანისცემის შესახებ. განვითარდნენ ფსევდორელიგიოზური მოძრაობანი, რომლებიც იზიარებდნენ ხატმებრძოლთა იდეებს. მათგან ერთ-ერთი ყველაზე

²⁶ Восточное Средиземноморье и Кавказ, Сборник статей, «Искусство», 1988, გვ. 154-155

განვითარებული და ძლიერი მოძრაობა იყო პავლიკიანელთა ჯგუფი, რომელიც ჯერ კიდევ VII საუკუნეში სომხეთში ჩაისახა, ხოლო X საუკუნისათვის გავრცელდა მთელ მცირე აზიასა და ბიზანტიის იმპერიის ტერიტორიაზე. მათი იდეა იყო ქრისტიანობის პირველადი, „შეურყვნელი“ სახით შენარჩუნება. ისინი უარყოფდნენ ამქვეყნიურ ცხოვრებას და მიმდევართ მოუწოდებდნენ ეცხოვრათ მოციქულთა ცხოვრების წესის მიხედვით. სახელი „პავლიკიანელები“ მათ მოწინააღმდეგეებმა შეურჩიეს. თავად ისინი თავს „ქრისტიანებად“ მოიხსენიებდნენ, ხოლო ბიზანტიის იმპერიის ეკლესიის მიმდევართ „რომეებს“ ეძახდნენ. ეს რელიგიური მოძრაობა თითქმის XVIII საუკუნემდე არსებობდა. თურქთა მიერ დევნის შედეგად მათ მდინარე დუნაი გადალახეს რუმინეთისა და სერბეთის საზღვარზე დასახლდნენ. ამ ტერიტორიაზე დღემდე პავლიკიანელთა თხუთმეტ ათასამდე შთამომავალი ცხოვრობს.

კიდევ ერთი, საკმაოდ ძლიერი მოძრაობა იყო ბოგომილობა. იგი X საუკუნისთვის ბალკანეთის ნახევარკუნძულზე ჩაისახა დამაარსებლის, ხუცეს ბოგომილის მიერ. პავლიკიანელობის მსგავსად, ბოგომილობა გამოხატავდა ფეოდალურ დამოკიდებულებაში მყოფი გლეხების ინტერესებს, გმობდა სიმდიდრეს, ფეოდალურ ექსპლუატაციასა და სახელმწიფო ხელისუფლებას, უარყოფდა აღმოსავლეთის ქრისტიანულ ეკლესიას, საეკლესიო იერარქიას, ტაძრებს, საეკლესიო საიდუმლოებებს და წეს-ჩვეულებებს.

ამ ორი მწვალებლური მოძრაობის მიმდევართ აერთიანებდათ კიდევ ერთი რამ - ისინი უარყოფდნენ ძველ აღთქმას და ზოგადად ექვეყნებდნენ კავშირს საეკლესიო სწავლებას ძველი აღთქმის წინასწარმეტყველებსა და ახალ აღთქმაში განვითარებულ მოვლენებს შორის. ასეთ პირობებში, მართლმადიდებლური ეკლესიის პოზიციის გასაძლიერებლად, საჭირო გახდა ბიბლიური წინასწარმეტყველებისა და ახალი აღთქმის ურთიერთდამოკიდებულების წარმოჩენა, რაც ყველაზე უკეთ სწორედ ღვთისმშობლის სახესა და მის სიმბოლიკაში ვლინდება. შესაბამისად, სახვით ხელოვნებაში კვლავ ფართოდ გავრცელდა ღვთისმშობლის ძველიაღთქმისეული წინასახეების აღბეჭდვა. სინაჲს წმინდა ეკატერინეს მონასტერში ინახება XII-XIII სს. რამდენიმე ხატი ღვთისმშობლისა და რამდენიმე რჩეულ წინასწარმეტყველთა გამოსახულებებით. ერთ-ერთ მათგანზე წარმოდგენილია მოსე აღთქმის ფილებით და

აარონი „რჯულის კიდობნით“, სხვებზე კი - დავითი და ავაკუმი. ეტინგოფის აზრით, სინის წმ. ეკატერინეს მონასტრის ხატების მარიოლოგიური ტიპოლოგიის შემადგენლობა განსაკუთრებით ახლოა ბეთანიის ტაძარში არსებულ ციკლთან.

ამრიგად, ამ პერიოდში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა ღვთისმშობლის ძველიაღთქმისეულ სახეებს, რადგან სწორედ მათი მეშვეობით ხდებოდა ძველი და ახალი აღთქმის ერთმანეთთან განუყოფელი კავშირის დადასტურება. აღნიშნულ ძეგლთა მიმოხილვის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ღვთისმშობლის ძველაღთქმისეული წინასახეების გამოსახვის ტრადიციამ ჩამოყალიბებული და სრული სახე XII-XIII საუკუნეებში მიიღო. XII საუკუნეში ამ სახის იკონოგრაფია თანაბრად ვრცელდებოდა, როგორც მინიატურებსა და ხატწერაში, ასევე, მონუმენტურ მხატვრობაში და იგი მკაცრად იყო მიახლოებული ღვთისმშობლის სადიდებელ ახალაღთქმისეულ ტექსტებთან (ტროპარ-კონდაკებთან).

დასკვნა

ყველაფერი, რაც ძველალთქმისეულ წინასახეებშია დაფარული უდიდესი სიცხადით ვლინდება ახლა აღთქმაში. ღვთისმშობლის შესახებ პირველი წინაუწყება მჟღავნდება იმ აღთქმებში, რომლებით მხსნელის მოვლენას ეხება - თესლი დედაკაცისა დათრგუნავს გველის თავს. ეს თესლი არის მარიამისაგან შობილი იესო ქრისტე. ღვთისმშობლის მიერ ღვთიური მადლის დატევის, მასში მთელი კოსმოსის თავმოყრის იდეა ძველი აღთქმის მრავალ ეპიზოდშია ჩადებული. მორწმუნეს მხოლოდ ამ დაფარული კოდების ამოცნობა ევალება. სათქმელის დაფარულად გადმოცემას ემსახურება სიმბოლოთა „ენაც“. იგი ფართო ასპარეზია ცნობიერებაში წარმოქმნილი ასოციაციებისთვის.

მოცემული ნაშრომის ფარგლებში, შევეცადეთ დაგვედგინა, თუ რატომ დაუკავშირდა ისეთი ძველალთქმისეული სიმბოლოები, როგორებიცაა: კიდობანი, კიბე, შეუწველი მაყვალი, მთა, დახშული ბჭე და ასე შემდეგ, დედა ღმრთისას. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა აღთქმის კარავსა და „სიბრძნის კიდობანზე“, მათში მოთავსებული ყველაზე მნიშვნელოვანი სიწმინდეებით - რჯულის ფილებით, ჭურჭლით ზეციური მანანათი, შვიდშანდლიანი სასანთლით, აარონის აყვავებული კვერთხით. ბიბლიის თანახმად, კიდობანი ინახებოდა ჯერ ებრაელთა გადაადგილებად ტაძარში, ანუ კარავში, ხოლო შემდეგ - „სჯულის კიდობნის“ მოდელის მიხედვით აგებულ ტაძარში. ამ სიწმინდის ახლანდელი ადგილსამყოფელი უდიდეს საიდუმლოს წარმოადგენს

როგორც არაერთხელ აღინიშნა ნაშრომში, შუა საუკუნეებში ძველალთქმისეულ იკონოგრაფიულ სიუჟეტებს ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უჭირავს. ამ მხრივ გამორჩეული იყო პალეოლოგოსთა ეპოქა ბიზანტიაში. ამ პერიოდში ადგილი ეთმობა ვრცელ კომპოზიციებს, რომლებიც საღვთისმეტყველო ტექსტების ახსნა-განმარტებით ფუნქციასაც ითავსებს და, ამასთანავე, ემოციითაა დატვირთული

ნაშრომში განვიხილეთ ქართული ხელოვნების სამი თვალსაჩინო ძეგლი: 1. ბეთანიის სამონასტრო კომპლექსში შემავალი ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძარი; 2. ლიხნის ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძარი. 3. ზარზმის ფერიცვალების სახელობის ტაძარი. სამივე ტაძარში მოგვეპოვება ღვთისმშობლის ძველალთქმისეული სახე-სიმბოლოები, რომლებიც ეხმიანება და მიემართება ტაძრებში გაშლილ იკონოგრაფიულ სქემებს. მოცემულ ძეგლთა მოხატულობის აღწერისა და ანალიზის

გარდა, შვეცადეთ, წარმოგვეჩინა, თუ რატომ დაუკავშირდა „სიბრძნის კილოზანი“ და „აღთქმის კარავი“ მარიამის სახეს, საიდან მომდინარეობს დედა ღმრთისას კოსმოსად, ღვთიური მადლისა და სიტყვის დავანების ადგილად მოაზრების იდეა და რა სასულიერო ლიტერატურა უმყარებს ყოველივე ამას საფუძველს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ამირანაშვილი შ., ქართული ხელოვნების ისტორია. თბ., 1972.
2. ახალაძე ლ., აფხაზეთის ეპიგრაფიკა, როგორც საისტორიო წყარო: ლაპიდარული და ფრესკული წარწერები, ტ. I, თბ., 2005.
3. ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის ეპარქია, ვ. ასათიანი, გ. მარსაგიშვილი, თ. ჭუაძე, თბ., 2014.
4. ბერიძე ვ., სამცხის ხუროთმოძღვრული ძეგლები, თბ., 1970.
5. ბერიძე ვ., ძველი ქართული ხუროთმოძღვრება, თბ., 1974.
6. გრიგოლია თ., ღვთისმშობელი ქართველ ჰიმნოგრაფთა სახეობრივ მეტყველებაში (სადისერტაციო ნაშრომი). თბ., 2012.
7. დიდებულიძე მ., საღვთისმეტყველო პოლემიკის ასახვის საკითხისათვის ყინწვისის წმ. ნიკოლოზის ტაძრის მოხატულობაში, საქართველოს სიძველენი, №6 თბ., 2004.
8. ეკალაძე ზ., წმინდა იოანე დამასკელი და მისი დოგმატური სწავლება ღვთისმშობლის შობისადმი მიძღვნილი საკითხავიდან, საპატრიარქოს უწყებანი, თბ., №32 (473), 2008.
9. ვარძია. ლენინგრადი, 1975.
10. ზაქარაია პ., ქართული ხუროთმოძღვრება XI-XIII სს., თბ., 1990.
11. კაკაბაძე ს., ზარზმის მხატვრობის ისტორიული პირების ვინაობის შესახებ, საისტორიო მოამბე, №1, 1925.
12. კეკელიძე კ., ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბ., 1981.
13. კობახიძე რ., ბიბლიურ მცენარეთა ტიპოლოგიური სიმბოლიკა პატრისტიკულ ტრადიციაში (სადისერტაციო ნაშრომი). თბ., 2015.
14. მესხი თ., ტოპონიმ „დიდუბის“ განმარტებისათვის, აკად. გ. წერეთლის სახ. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი, თბ., 2008.
15. მიზჩუანი თ., აფხაზეთი, ნაწილი I,
16. მოსულიშვილი ჰ., ქართული ძეგლის სტრუქტურა IV-XIII სს., გუმბათოვანი არქიტექტურა; თბ., 1985.

17. მოსულიშვილი ჰ., ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლების სტრუქტურა, თბ., 2012.
18. ოქროპირიძე ა., ბეთანია ელის ახალ ქველმოქმედს: ბეთანიის მონასტრის იკონოგრაფიული და მხატვრული კომპოზიცია, ომეგა, №6, თბ., 2001.
19. პრივალოვა ე., ბეთანიის მოხატულობა, საბჭოთა ხელოვნება, №5. 1980.
20. რელიგიურ-საგანმანათლებლო ჟურნალი „გული გონიერი“ №19, თბ., 2018.
21. სამეცნიერო-საღვთისმეტყველო შრომები. თბ., 2004.
22. სამოილოვა ტ., ლიხნეს ტაძრის მოხატულობის პროგრამის გაგებისათვის: ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილი VI საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალები, თბ., 1989.
23. სანიკიძე თ., ბეთანია. გაზ., „მეტრომშენებელი“. 1972.
24. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა. აფხაზეთი. ს. კაპანაძე, თბ., 2007.
25. სილოგავა ვ., ბეთანიის წარწერები, მაცნე, 1993.
26. სირაძე რ., ქრისტიანული კულტურა და ქართული მწერლობა, ტ. I, თბილისი, 1992.
27. სიხარულიძე ა., ღვთისმშობლის ძველი აღთქმისეული წინასახეები ბეთანიის მოხატულობაში.
28. სნესოროვა ს., ღვთისმშობლის მიწიერი ცხოვრება და მისი სასწაულმოქმედი ხატების ისტორია, თბ., 2001.
29. სხირტლაძე ზ., ღვთისმშობლის ცხოვრების აპოკრიფული ციკლი ბერთუბნის ტაძრის მოხატულობაში. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, № 2, თბ., 1982.
30. სხირტლაძე ზ., ოთხთა ეკლესიის ფრესკები, თბ., 2009.
31. უილკინსონი ჯ., რელიგიური არქიტექტურის გეგმარება. სამეცნიერო შრომების კრებული „ხელოვნებათმცოდნეობა“. №5. 2003.
32. ქვემო ქართლი: ფოტოალბომი . თბ., 2016.
33. ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ცხოვრება. ფერისცვალების დედათა მონასტერი. თბ., 2013.

34. ცინცაძე ვ., ბეთანიის ხუროთმოძღვრული ანსამბლის აღდგენა-რესტავრაცია. ქართული ხელოვნების ინსტორიის ინსტიტუტის XXVIII სამეცნიერო /სესია. 1981.
35. ციციშვილი ირ., ქართული ხელოვნების ისტორია. თბ., 1995.
36. ციციშვილი ირ., ქართული არქიტექტურის ისტორია. თბ., 1955.
37. ძველი ქართული მწერლობის ძეგლები: კლარჯული მრავალთავი. თ., მაგლობლიშვილი. თბ., 1991.
38. ჭიჭინაძე ი., მოქვის ოთხთავის გაფორმების მხატვრული პრინციპები. თბ., 2004.
39. ჯანგიძე მ. ბეთანია. ძეგლის ხუროთმოძღვრული ფრესკული მოხატულობისა და რელიეფური ორნამენტის აღწერილობა. თბ., 1973.
40. ჯანჯალია მ., ზარზმის მოხატულობის თარიღისათვის. საქართველოს სიძველენი. №10. 2007.
41. Амиранашвили Ш., История грузинской монументальной живописи. Т.1. 1957.
42. Аверинцев С., Символика раннего средневековья. М., 1947.
43. Библейская энциклопедия. Трудь и издание Архимандрита Никифора. Репринтное издание. Издательский центр „Терра“ М., 1891.
44. Виноградова Е., Фрески церкви Успения Богородицы в селе Лыхны в Абхазии: стиль и датировка. Иверия. Афон. Россия. Духовные и культурные связи (Труды центрального музея древнерусской культуры и искусства им. Андрея Рублева). Т. XIII. М., 2017.
45. Кавасила Н., Христос. Церковь. Богородица. МГУ. 2002.
46. Каковкин А., Вновь обнаруженные фрагменты чеканной иконы „Преображение“ из Зарзмы. Восточное средиземноморье и Кавказ IV-XVII вв (сворник статей). Искусство. Ленинградское отделение. 1988.
47. Кондаков Н., Иконография Богоматери. Тб.1., Т., 1914.
48. Лазарев В., Этюды по иконографии Богоматери. М., 1971.
49. Лазарев. В., История византийской живописи. М., 1986.
50. Лидов А., Росписи монастыря Ахтала. М., 2014.
51. Лосев А., Проблема символика и реалистическое искусство. М., 1976.

52. Макарова А., Фрески алтарной апсиды церкви Рождества Богородицы в Бетании (Грузия): стиль живописи и проблема датировки. Актуальные проблемы теории и истории искусства. М., 2012.
53. Макарова А., Царский и Ктиторовский портреты церкви Рождества Богородицы в Бетании (Грузия): к вопросу о датировке и Атрибуции памятника. Вестник ПСТГУ, серия V. Вопросы истории и теории христианского искусства. 2010.
54. Отчет о миссии ИКОМ России в Абхазии. М., 2011.
55. Привалова Е., Новые данные о Бетании. Международный симпозиум по грузинскому искусству. Тб., 1983.
56. Пространство иконы. Иконография и иеротопия. К 60-летию А.М. Лидова. Российская академия художеств. М., 2019.
57. Прудникова Е., Земля Богородицы. 2006
58. Рчеулишвили Л., Некоторые аспекты Грузинской архитектуры черноморского побережья. М., 1978.
59. Схиртладзе З., Роспись пещерного храма в Бертубани (Исследование по истории Грузинской Монументальной живописи XIII в.), Автореферат диссертации. Тб., 1987.
60. Такаишвили Э., Сборникъ Материаловъ для Описанія М стностей и племень Кавказа, Выпускъ 35, Тифлисъ, 1905.
61. Толмачевская Н., Декоративное наследие древнегрузинской фрески. Т., 1939.
62. Уваров А., Христианская символика. Часть I. Символика древнехристианского периода. М., 1908.
63. Хэнкок Г., Ковчег Завета.
64. Холл Д., Словарь сюжетов и символов в искусстве. М., 1996.
65. Шервашидзе Л., Средневековая Монументальная живопись в Абхазии. Тб., 1980.
66. Шмерлинг Р., Малые формы в архитектуре средневековой Грузии. Тб., 1972.
67. Шмерлинг Р., Долидзе В., Барновели Т., Окресности Тбилиси: архитектурный путеводитель. Тб., 1960.

68. Этингоф О., Образ Богоматери. Очерки византийской иконографии XI-XIII вв., „Прогресс - Традиция”. М., 2000.

ილუსტრაციების სია

ბეთანიის ღვთისმშობლის სახელობის ტაძარი

- ტაბულა 1 - ბეთანიის ღვთისმშობლის სახელობის ტაძარი (ხედი);
- ტაბულა 2 - ბეთანიის ტაძრის გეგმა;
- ტაბულა 3 - ბეთანიის ტაძრის ჭრილი;
- ტაბულა 4 - ბეთანიის ტაძრის საკურთხეველი (მოხატულობის სქემა);
- ტაბულა 5 - მღვდელმთავართა რიგი;
- ტაბულა 6 - ჯვარცმის კომპოზიცია;
- ტაბულა 7 - გარდამოხსნა;
- ტაბულა 8 - „ემმაკეულთა განკურნება“;
- ტაბულა 9 - მარიამ ეგვიპტელის ზიარება;
- ტაბულა 10 - ღვთისმშობელი სამოთხეში;
- ტაბულა 11 - იაკობის კიბე;
- ტაბულა 12 - „კიდობანი“ და „მოცეკვავე დავითი“;
- ტაბულა 13 - კიდობნისა და დავითის გამოსახულება;

ლიხნის ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძარი

- ტაბულა 14 - ლიხნის ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძარი (ხედი);
- ტაბულა 15 - ლიხნის ტაძარი (XIX ს.);
- ტაბულა 16 - ტაძრის გეგმა;
- ტაბულა 17 - საერთო ხედი (სამრეკლოსთან ერთად);
- ტაბულა 18 - შერვაშიძეთა სასახლის ნანგრევები;
- ტაბულა 19 - ტაძრის გუმბათი;
- ტაბულა 20 - საკურთხეველის კონქი;
- ტაბულა 21 - ექვარისტული თემა;
- ტაბულა 22 - ნიკიფორე კონსტანტინეპოლელის გამოსახულება;
- ტაბულა 23 - გერმანე კონსტანტინეპოლელის გამოსახულება;
- ტაბულა 24 - აბრაამის მსხვერპლშეწირვის ადგილისაკენ სვლა;

ტაბულა 25 – „აღთქმის კარავი“;

ტაბულა 26 - ტაძრის ამჟამინდელი მდგომარეობა;

ტაბულა 27 - ტაძრის კედლები (ამჟამად);

ტაბულა 28 - ტაძრის კედლები (ამჟამად);

ზარზმის ფერიცვალების სახელობის ტაძარი

ტაბულა 29 - ზარზმის ფერიცვალების სახელობის ტაძარი (ხედი);

ტაბულა 30 - ტაძრის გეგმა;

ტაბულა 31 - ტაძრის გუმბათი;

ტაბულა 32 - საკურთხევლის პროგრამა;

ტაბულა 33 - ევქარისტული თემა;

ტაბულა 34 - განზანვის კომპოზიცია;

ტაბულა 35 - „სიბრძნემან იშენა თავისა თვისისა სახლი“ (დეტალი);

ტაბულა 36 - სამთავიანი ანგელოზი (ათონის მთის ჰილენდარის მონასტრი);

ტაბულა 37 - ნაბუქოდონოსორის სიზმარი (ოქრიდის ტაძარი);

ტაბულა 38 – „ღვთიური ლიტურგია კარავში“ (ზარზმა)

სხვადასხვა

ტაბულა 39 – კარვის გადატანა (XIII საუკუნის რვაწიგნეულის მინიატურა);

ტაბულა 40 - ლევიტელთა მიერ კარვის გადატანა (კონსტანტინოპოლი, X საუკუნის მინიატურა);

ტაბულა 41 - შვიდსანთლიანი სასანთლის ტიპები;


ტაბულა 42 - აარონის აყვავებული კვერთხი (მინიატურა)

ა ლ ბ რ მ ი

ტაბ. 1




ტაბ. 2




15. ბუბანი, გეგმა.

ტაბ. 2

ՇՏԹ. 3



ტაბ. 4



ტაბ. 5





ტაბ. 6





ტაბ. 8



ტაბ. 9



Պատ. 10

Պատ. 11





Պատ. 12



Պատ. 13




ტაბ. 14



ლიხნი XIX საუკუნის ბოლოს
Likhni at the end of 19th century

ტაბ. 15



ტაბ. 16



ტაბ. 17



ტაბ. 18



ტაბ. 19



ՇՆԹ. 20



ტაბ. 21



Շձ. 22



Շձ. 23



Պատ. 23



Պատ. 25




ტაბ. 26




ტაბ. 27



ტაბ. 28



ტაბ. 29



245. ზარზმა.

ჩაძრის განაკეთი აღმოსაგლოუთით

ტაბ. 30



ცაბ. 31



ცაბ. 32




ტაბ. 33



(ტაბ. 33 - დამატებითი ილუსტრაცია)



Պատ. 34



ക്രമ. 35



ტაბ. 36



ტაბ. 37



ტაბ. 38



ῥαδ. 39



ῥαδ. 40



Lamp Found at Khirbat Sammaka, near Carmel.



From a Lintel in the Ruins of the Ancient Synagogue of Nebratein.



Lamp Found Among the Ruins of Carthage by P. Delattre.




From a Rock-Cut Tomb Near Jaffa.




The Golden Candlestick on the Arch of Titus, as It Appeared in 1710. (After Reiland, "De Spoliis Templi Hierosolymitani in Arcu Titiano.")



From a Gilt Glass Vase Found in the Jewish Catacombs at Rome.



From the Entrance to a Tomb at Wadi al-Nahal.



From a Graffito Found in the Jewish Catacombs at Venosa.



From the Bottom of a Glass Vase Now in the Museo Borgiano at Rome.



From the Great Mosque at Gaza. Discovered by Clermont-Ganneau.



Hexagonal Arrangement of the Golden Candlestick (Hypothetical).



ප්‍ර. 42